ცივილიზაციისადმი მალიქ ბენაბის მიდგომის *სოციალურ-ინტელექტუალური საფუძვლები*

BADRANE BENLAHCENE

THE SOCIO-INTELLECTUAL FOUNDATIONS OF
MALEK BENNABI'S APPROACH
to CIVILIZATION

იასი-ს წიგნების სერია

ცივილიზაციისადმი
მალიქ ბენაბის მიდგომის
სოციალურ-ინტელექტუალური საფუძვლები

ბადრან ბენლაჰსინი

International Institute
of Islamic Thought

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2023

ცივილიზაციისადმი მალიქ ბენაბის მიდგომის
სოციალურ-ინტელექტუალური საფუძვლები (Georgian)
ბადრან ბენლაჰსინი
იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი
1444ჰ/2023
Paperback ISBN: 978-9941-33-444-3

The Socio-Intellectual Foundations of Malek Bennabi's
Approach to Cıvılızatıon (Georgian)
Badrane Benlahcene
IIIT Books-In-Brief Series

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)
1435AH/2013CE
*Paperbac*k ISBN: 978-1-56564-596-7
IIIT
P.O. Box 669,
Herndon, VA, 20172, USA
www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა მეგი ჟღენტმა
თარგმანის თეოლოგიური რედაქტორი: ტარიელ ნაკაიძე
ფილოლოგიური რედაქტორი: ნაზი კოჩალიძე
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი ც.დადიანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარ-
ვასლა A-508
ikiacademy.org

პუბლიკაცია მომზადებულია გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-
სტიტუტთან თანამშრომლობით
საავტორო უფლება დაცულია. სავალდებულო გამონაკლისებისა და შესაბა-
მისი კოლექტიური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან
გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომ-
ცემლების წერილობითი ნებართვის გარეშე.
წინამდებარე ნაშრომში გამოხატული შეხედულებები და აზრები ეკუთვნის
ავტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „**უნივერსალი**", 2023

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების სერია

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ მომზადებული საკვანძო პუბლიკაციების ამსახველ ღირებულ კოლექციას, რომელიც ორიგინალის, სრული ტექსტის, მკითხველი საზოგადოებისთვის მარტივად აღქმის მიზნით შემოკლებული ფორმითაა დაწერილი. აღნიშნული ნაშრომი, დროის დაზოგვის მიზნით, წარმოდგენილია რა შემოკლებული ფორმით და ადვილად წასაკითხი სახით დროს დაზოგვის მიზნით, ეს თანდართული სინოპსისები გვთავაზობს უფრო სრული პუბლიკაციების ყურადღებით დაწერილ დეტალურ მიმოხილვას იმ იმედით, რომ ის მკითხველს ორიგინალის გაცნობის ინტერესს აღუძრავს.

ნაშრომი **„ცივილიზაციისადმი მალიქ ბენაბის მიდგომის სოციალურ-ინტელექტუალური საფუძვლები“** სრული ფორმით დაიბეჭდა 2011 წელს. მას შემდეგ, სამუელ ჰანთინგტონის ესემ „ცივილიზაციების შეჯახება?“ პირველად გამოიწვია ვნებათაღელვა ცივილიზაციის ცნების ირგვლივ და კონფლიქტი მსოფლიო წესრიგის შესახებ კვლავაც დებატების ცენტრში მოექცა. მალიქ ბენაბიმ (1905—1973), გამოჩენილმა ალჟირელმა მოაზროვნემ და დიდმა მუსლიმმა ინტელექტუალმა, საგულდაგულოდ გა-

ამახვილა ყურადღება მუსლიმების დაკნინებისა და დასავლური ცივილიზაციისა და კულტურის წარმატების მიზეზების ახსნაზე. მისი თეორიული მსჯელობა საკვანძო საკითხია ის, რომ იგი ეხება არა ყურანს ან ისლამური მრწამსს, არამედ თავად მუსლიმებს. ავტორმა შეისწავლა ბენაბის ცივილიზაციისადმი მიდგომა და მის მიერ ფორმირებული ფუნდამენტური პრინციპები მეტათეოლოგიური მეთოდოლოგიის გამოყენებით. ამრიგად, მან კიდევ უფრო ნათელი მოჰფინა ბენაბის თეორიის, ალბათ, ყველაზე დამაინტრიგებელ ელემენტს იმის თაობაზე, რომ ცივილიზაცია იმართება შიდა-გარე და სოციალურ-ინტელექტუალური ფაქტორების მიერ და რომ შესაძლებელია ფორმულის შემუშავება ცივილიზაციისათვის. ეს ფორმულა ადამიანი+ნიადაგი+დრო=ცივილიზაცია, რომლისთვისაც, ბენაბის აზრით, რელიგია წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კატალიზატორს, ახსნილია და შეფასებულია მისი მნიშვნელობა მუსლიმთა დაკნინებისკენ შემობრუნების თვალსაზრისით. თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ ბენაბისთვის ადამიანი წარმოადგენს ცენტრალურ ძალას ნებისმიერ ცივილიზაციურ პროცესში და მის გარეშე დანარჩენი ორი ელემენტი უბრალოდ კარგავს თავის ღირებულებას.

რაც შეეხება შედეგებს, ბენაბის მოსაზრება უცვლელი და ზუსტი რჩება და ის თვლის, რომ თავიანთი სულიერი მდგომარეობის შეცვლის გარეშე მუსლიმები ვერ შეძლებენ გრძელვადიანი და ღრმა შინაარსის მატარებელი ცვლილებების განხორციელებას საზოგადოებაში, რასაც ეხმიანება ყურანის აია 13:11 - ***„უეჭველად,***

ალლაჰი არ შეცვლის ხალხის მდგომარეობას, სანამ თავად ხალხი არ შეიცვლება...“

ბადრან ბენლაჰსინის ორიგინალური ნაშრომის *„ცივილი-ზაციისადმი მალიქ ბენაბის მიდგომის სოციალურ-ინტე-ლექტუალური საფუძვლები”* შემოკლებული ვერსიის გა-მოცემა.

შემოკლებული გამოცემა
ISBN hbk: 978-1-56564-368-0
ISBN pbk: 978-1-56564-367-3
2011

შესავალი

წინამდებარე წიგნის ყურადღების ცენტრშია გამოჩენილი ალჟირელი მოაზროვნისა და დიდი მუსლიმი ინტელექტუალის, მალიქ ბენაბის (1905-1973), ნაშრომი და ახლებურადაა ახსნილი მისი მეთოდოლოგია და ფილოსოფია. თავის კვლევებში ბენაბიმ ახსნა მუსლიმების დაკნინებისა და დასავლური ცივილიზაციისა და კულტურის წარმატების მიზეზები და დაასკვნა, რომ პრობლემა არა ყურანსა და ისლამში, არამედ თავად მუსლიმებშია. კოლონიზაციის შედეგების რეალური სურათის დანახვასა და ცივილიზაციის მმართველი ფაქტორების გაცნობიერებას ძალუძს მუსლიმური სამყაროს პრობლემების მოგვარება და ახალი მუსლიმური რენესანსისთვის ბიძგის მიცემა.

წინამდებარე ნაშრომი მეტათეორიზაციის მეთოდოლოგიის (Mu) გამოყენებით იკვლევს ცივილიზაციისადმი ბენაბის მიდგომასა და მის მიერ ფორმულირებულ პრინციპებს, არღვევს ხელმისაწვდომი ლიტერატურის ჩარჩოებს, რათა წარმოადგინოს ცივილიზაციისადმი ბენაბის ინტერდისციპლინარული მიდგომა და მისი საბაზისო სტრუქტურა გააანალიზოს. ის ხაზს უსვამს ბენაბის თეორიას იმის თაობაზე, რომ შიდა-გარე და სოციალურ-

ინტელექტურალური ფაქტორები განაგებენ ცივილიზაციას და შესაძლებელია განტოლების შემუშავება უშუალოდ ცივილიზაციისათვის.

ბენაბის აზრით, რელიგია არის ადამიანი+ნიადაგი+დრო=ცივილიზაცია განტოლების ყველაზე მნიშვნელოვანი კატალიზატორი და ის აუცილებელია მუსლიმების დაკნინების მოსპობისთვის. ბენაბისათვის ადამიანი არის ნებისმიერი ცივილიზაციური პროცესის ცენტრალური მამოძრავებელი ძალა, რომლის გარეშეც დანარჩენი ორი ელემენტი უბრალოდ კარგავს ღირებულებას.

ბენაბის რწმენას იმის შესახებ, რომ მუსლიმებმა თავდაპირველად უნდა შეცვალონ თავიანთი სულიერი მდგომარეობა მანამ, სანამ წარმატებით შეცვლიან საზოგადოებას ან ცივილიზაციას, ეხმიანება აია 13:11 *„უეჭველად, ალლაჰი არ შეცვლის ხალხის მდგომარეობას, სანამ თავად ხალხი არ შეიცვლება...“*

ცივილიზაციებისა და გლობალური ცვლილებების შესწავლა აკადემიურ წრეებში კვლავაც არ კარგავს აქტუალობას. ბევრი მკლევარი და მეცნიერი მოუწოდებს ცივილიზაციების წამყვანი მკვლევრების ნაშრომების ახლებურ განხილვას. ბენაბიმ, იბნ ხალდუნის შემდგომ მუსლიმური სამყაროს პირველმა სოციალურმა ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა, მოიძია ის უნივერსალური კანონები და ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც განაგებენ ადამიანთა საზოგადოებებსა და ცივილიზაციებს და განსაზღვრა მათ ბედს ისტორიაში. მუსლიმური ცივილიზაციის დაკნინებით გამოწვეულმა მისმა შეშფო-

თებამ აიძულა ის, გაეანალიზებინა აღნიშნულის გამომწვევი მიზეზები და შემოეთავაზებინა გამოსავალი. იმის ნაცვლად, რომ განეხილა დილემა ეკონომიკის, პოლიტიკისა და იდეოლოგიის ჭრილში, მან ხაზი გაუსვა იდეების როლს, როგორც ცივილიზაციის აღმასვლის კატალიზატორს.

ისლამისა და სოციალური მეცნიერების ღრმა ცოდნისა და გაგების წყალობით, ბენაბი ადამიანთა საზოგადოებების ეფექტურობასა და კულტურისა და ცივილიზაციის დინამიკას მიუდგა უნივერსალური პერსპექტივიდან. ის მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებას ცივილიზაციის მოდელით, რომელიც სოციალურ-ისტორიული ფენომენის შესწავლის საგულისხმო ერთეულია. მან თქვა: „ნებისმიერი ერის პრობლემა, თავისი არსით, გამომდინარეობს იმ ცივილიზაციისაგან, რომელსაც ის ეკუთვნის".

ბენაბის ფილოსოფია არის ინტერპრეტაციის ინტეგრირებული სისტემა, რომელიც ეყრდნობა ისლამის ღრმა ცოდნას. ცივილიზაციასა და ისტორიაში მისი როლის შესწავლის ბენაბისეული მიდგომა დიდად გვეხმარება მუსლიმური ცივილიზაციის კრიზისის დიაგნოსტიკასა და ამ კრიზისის წარმოშობის მიზეზებისა და პრობლემის გადაჭრის გზების მიგნებაში. მისმა სამეცნიერო მომზადებამ ისტორიულ, სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ ხედვასთან ერთად, საშუალება მისცა, გაეანალიზებინა ევროპული ცივილიზაცია, მოეხდინა ორიგინალური აზ-

რების შემუშავება და წარმოედგინა უმმას ძლიერი და სუსტი მხარეები.

წინამდებარე კვლევის მიზანია იმ სხვადასხვა ფაქტორის დადგენა, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ცივილიზაციისადმი ბენაბის მიდგომაზე. ის განიხილავს მის ინსტრუმენტებს, მეთოდებს, კონცეფციებსა და თეორიებს და აანალიზებს პროცესსა და მიდგომას. საბოლოო მიზანი თანამედროვე ცივილიზაციისა და სოციალურ ცხოვრებაზე ასახული მისი შედეგების გაგება და გადაწყვეტილებების მიმღებების ცივილიზაციური მოდელით უზრუნველყოფაა.

ბენაბის მეტათეორიული მიდგომა ასახავს მე-19 საუკუნის ადრეული წლებიდან დაწყებულ მუსლიმური სამყაროს ძალისხმევას, რომლის მიზანიც ანალიზის ყოვლისმომცველი სისტემის საშუალების გამოყენებით მუსლიმური ცივილიზაციის ჩამორჩენილობის პრობლემის გადაჭრა და მისი რეაქტივაცია იყო. ამის შედეგად შემუშავებული ინტერდისციპლინარული მიდგომა მოიცავს ისტორიის ფილოსოფიას, სოციალურ მეცნიერებებსა და იბნ ხალდუნის მემკვიდრეობას. ეს შეხედულება არსებითია მუსლიმურ სამყაროში ან სხვა ცივილიზაციებში სხვადასხვა ნაწილობრივი დილემის გამოვლენისათვის.

იმისათვის, რომ უკეთ შეგვეფასებინა ბენაბისეული ცივილიზაციის კონცეფცია, ჩვენ ვიყენებთ ჯორჯ რიტცერის მეტათეორიული მიდგომას, სოციოლოგიური თეორიის საბაზისო სტრუქტურის სისტემური შესწავ-

ლას. ის უფრო სისტემატიზირებულად მიესადაგება ისლამის ინტელექტუალურ და კულტურულ სტრუქტურას, ანუ ბენაბის იდეების განვითარების ფუნდამენტურ სფეროს. ავტორი იყენებს მეტათეორიზაციის მეთოდოლოგიის პირველ ტიპს. წინამდებარე ნაშრომის მიზანი კი გახლავთ ბენაბის ცივილიზაციის თეორიის უკეთ გაგება მეტათეორიზაციის მეთოდოლოგიის ქვეტიპის ოთხი განზომილების მეშვეობით.

მეტათეორიზაციის მეთოდოლოგია გულისხმობს თეორიის შესწავლას არსებული თეორიის უფრო ღრმა გაგებისათვის. მისი შიდასოციალური განზომილება შიგნიდან შეისწავლის კვლევის სფეროს და ფოკუსირებას ახდენს უფრო სოციალურზე, ვიდრე შემეცნებით ფაქტორებზე. გარესოციალური განზომილება კი გადადის მაკრო დონეზე, რათა დაინახოს საზოგადოება მთლიანად და შეისწავლოს მისი გავლენა თეორიზირებაზე და ამავე დროს ხაზი გაუსვას თეორიზირების პროცესსა და სხვადასხვა ინსტიტუციებს შორის არსებულ ურთიერთობებს. ბენაბის შემთხვევაში ეს განზომილება ფოკუსირებულია გარეგან სოციალურ ფაქტორების ურთიერთმიმართებაზე, მისი მიდგომის ფორმულირებასა და განვითარებას შორის არსებულ ურთიერთქმედებაზე.

შიდაინტელექტუალური განზომილება ფოკუსირებულია ინტელექტუალურ ან შემეცნებით საკითხებზე, რომლებიც, ტრადიციულად, ცივილიზაციის შესწავლის შემადგენელი ნაწილია. ის მოიცავს ძირითადი შემეცნებითი პარადიგმების, აზროვნების სკოლების, ცვლილებე-

ბის პარადიგმების იდენტიფიკაციის მცდელობასა და მეტათეორიული ინსტრუმენტების განვითარებას. გარეინტელექტუალური განზომილება ცივილიზაციის შესწავლისათვის იდეების, ინსტრუმენტების, კონცეფციებისა და თეორიებისათვის მიმართავს სხვა აკადემიურ დისციპლინებს. ბენაბის შემთხვევაში ეს განზომილება გულისხმობს ყურანის გავლენას, მუსლიმური სამყაროს რელიგიურ აზროვნებას, ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებას და ცივილიზაციის შესწავლის სფეროსა და მისი ორი დომინანტული პარადიგმის მიღმა არსებულ სხვა ინტელექტუალურ საშუალებებს.

მეტათეორიზაციის მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სისტემურ მეთოდებს არსებული თეორიის გაგების, შეფასების, კრიტიკისა და გაუმჯობესებისათვის. მეტათეორისტები სისტემურად სწავლობენ დეტალურ, ხშირ შემთხვევაში შედარებითი სოციოლოგიური თეორიების ერთობლიობას. მეტათეორიზაციის მეთოდოლოგია იძლევა არსებული თეორიების გაცილებით უფრო ადეკვატური შეფასებისა და კრიტიკული ანალიზის საშუალებას.

ამ კვლევის შედარებითი მეთოდი იყენებს მეტათეორიზაციის მეთოდოლოგიის მოდელს, რათა გაიგოს ბენაბისეული ცივილიზაციის მიდგომა და იგი შეადაროს იბნ ხალდუნისა თუ სხვათა მიდგომებთან. ეს კვლევა იყენებს შერეული მეთოდოლოგიების მიდგომას ისტორიული ანალიზის, შედარებითი ანალიზისა და შინაარსის

(kontent) ანალიზის კომბინირებით. შედარების მეშვეობით ავტორი ისწრაფის, გაიგოს და აღმოაჩინოს განსხვავებები და მსგავსებები ბენაბისა და სხვების მიდგომებს შორის. შინაარსის (kontent) ანალიზის მეთოდი კი განიხილავს ბენაბის კონცეფციებს, ვარაუდებსა და ტერმინებს მისი გამონათქვამების გაგებისათვის, იმ საბაზისო სტრუქტურების გამოვლენისათვის, რომლებიც საფუძვლად უდევს მის მიდგომასა და მეტათეორიზაციის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით მისი სხვადასხვა კონცეფციის, როგორც ერთიანი სისტემის, უფრო სიღრმისეულად შესწავლას. ასევე გამოყენებულია მიკრო-მაკრო კონტინიუმი, ეპისტემოლოგიური ხელსაწყო კომპლექსური სოციალური სამყაროს განხილვისათვის.

წარმოდგენილი გამოკვლევის ძირითადი წყაროები ბენაბის სტრუქტურებისა და ცივილიზაციის მიდგომის ანალიზისათვის ეყრდნობა ისევ და ისევ ბენაბის ორიგინალურ ნაშრომებს. მან ყველა თავისი წიგნი ერთი საერთო სათაურის ქვეშ გააერთიანა: *„მუშქილუთ ალ-ჰადარა“* (ცივილიზაციის პრობლემები) და ასევე სხვა ნაშრომებს სოციოლოგიასა და მის სხვადასხვა განშტოებაზე, ისტორიის ფილოსოფიაზე, ანთროპოლოგიაზე, ისტორიასა და სხვა სოციალურ მეცნიერებებზე. ავტორი იყენებს სხვა ნაშრომებსაც, როგორც მეორად წყაროებს.

პირველი თავი

ცივილიზაცია: კონცეპტები და მიდგომები

ინტერდისციპლინარული მიდგომა ყველაზე პროდუქტიულია თეორიისა და ცივილიზაციის სფეროს კვლევისათვის, რამდენადაც ის მოიცავს აღნიშნული მოვლენის ყველა ასპექტს. "ცივილიზაციის" კონცეპტის განვითარებისა და მისი საკითხების მიმართ ისტორიის განმავლობაში არსებული მიდგომების კვლევისას ინტერდისციპლინალური მიდგომა შეიძლება დაგვეხმაროს ცივილიზაციის შესწავლის სფეროში არსებული დომინანტური პარადიგმებისა და სკოლების იდენტიფიცირებაში.

ერთგვარი გამოწვევაა იმის განსაზღვრა, თუ როგორ წარმოიშვა ცივილიზაციის კონცეპტი სხვადასხვა ცივილიზაციაში მრავალფეროვანი კულტურული და ლინგვისტური ტრადიციებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კი ეს რთულია დასავლური და მუსლიმური ტრადიციების მიმართ. ასევე სირთულეს წარმოადგენს ცივილიზაციის ცალკეულ სფეროებს მიკუთვნებულ სხვადასხვა განმარტებას შორის არსებული წინააღმდეგობები და პოლემიკა. მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ცივილიზაციები ყველაზე ფართო კულტურული ერთობებია. ჰანთინგტონი, რომელიც განიხილავს ცივილიზაციას ისტორიისა და დროის სვლასთან ერთად განვითარების კონტექსტში, ინბ ხალდუნის, ტოინბის, ბენაბისა და ცივილიზაციის სხვა მკლევრების

მსგავსად ახდენს ცივილიზაციის რელიგიასთან, ცივილიზაციის ცენტრალურ მახასიათებელთან, შერწყმას.

ისლამმა და მუჰამად (ს.ა.ს.)[1] შუამავალმა არაბული ტომობრივი საზოგადოების სოციალური ურთიერთობების საფუძვლები შეცვალეს იდეებზე დაყრდნობილი სამოქალაქო ისლამური კულტურით, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა სოციალურ ფენასა და ეთნიკურ ჯგუფს. ეს იდეა იყო ახალი საზოგადოებისა და ცივილიზაციის დაფუძნება. შუამავალმა მუჰამადმა გააცნობიერა, რომ ურბანულმა განვითარებამ უნდა ჩაანაცვლოს მომთაბარე და ტომობრივი კულტურა. მისი ქალაქი მედინა ცივილიზაციის გარდაქმნის ბირთვს წარმოადგენდა.

ტერმინი „ცივილიზაცია" მუსლიმურ კულტურულ ტრადიციებში პირველად გამოჩნდა მე-14 საუკუნეში, იბნი ხალდუნის ნაწერებში. მან დაამკვიდრა ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: *„ჰ̣ადარა"* და *„'უმრან"*, შესატყვისი დასავლური ტერმინისა „ცივილიზაცია", და *„'ილმ ალ-'უმრან"* (ცივილიზაციის მეცნიერება). იბნ ხალდუნი განიხილავდა ცივილიზაციას, როგორც აუცილებელ მდგომარეობას, რომლითაც ადამიანები ერთად მკვიდრდებიან და ცხოვრობენ. მისი კონცეპტი აღწერს

---

[1]. صلى الله عليه وسلم (ṣალლა ლლაჰუ 'ალაეჰი ვა სალლამ) ქართულად: ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას, ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა, რომელიც გამოიყენება, როცა წმინდა მუჰამად შუამავლის სახელი „მუჰამმადი" იქნება ნახსენები.

ფენომენის დინამიურ ხასიათს კაცობრიობის განვითარების მდინარეებაში.

ცივილიზაციის კონცეპტი კიდევ უფრო განვითარდა მე-19 საუკუნის ბოლოს მუსლიმ ინტელექტუალთა შორის ისლამური აღორძინებითა და პირველი დაპირისპირებებით მოდერნულ ევროპასთან. *„ჰ̣ადარა“*-ის კონცეპტმა პოპულარობა მოიხვეჭა არაბული სამყაროს მეცნიერულ და ინტელექტუალურ წრეებში და ბენაბი იყო პირველი, რომელმაც აირჩია ეს მიდგომა „ცივილიზაციის“ განსასაზღვრელად. მუსლიმური სამყაროს სხვა ენებში გამოიყენებოდა ტერმინი *„მადანიეა“* ან მისგან წარმოქმნილი ტერმინები.

მუსლიმური და დასავლური პერსპექტივები თანხმდება ცივილიზაციის რუდიმენტულ ელემენტებზე, როგორებიცაა: ურბანული ცხოვრება, წესრიგი ან ორგანიზება და ბინადარი ცხოვრების წესი. სხვადასხვა ენაში ცივილიზაციის მიმართ გამოყენებული სიტყვები გვიჩვენებს, რომ ცივილიზაცია გულისხმობს ურბანულ საზოგადოებას, მმართველობის გარკვეულ ფორმას, წიგნიერებას, ადამიანთა უნარს, შეცვალონ თავიანთი გარემო და ცხოვრება, სპეციალიზირებულ ფუნქციებს, სოციალური ურთიერთობების ქსელს, რწმენის სისტემასა და ღმერთის ან უზენაესი არსების ცნებას.

ცივილიზაციების საკვანძო ნიშან-თვისებების შესახებ ფართო შეთანხმების მიუხედავად, არსებობს განსხვავებები ხედვის, მეთოდოლოგიის, მინიჭებული აქ-

ცენტებისა და კონცეფციების თვალსაზრისით. მრავალ-ფეროვანი მიდგომები განიხილება ფილოსოფიის, ისტო-რიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების დომინანტუ-რი პარადიგმებისა და მათი ქვე-პარადიგმების, ანთრო-პოლოგიისა და სოციოლოგიის პარადიგმების ჭრილში. წინამდებარე პრეზენტაცია იძლევა ერთგვარ საფუძ-ველს ზოგადად ცივილიზაციის საკითხებისა და კერძოდ, ბენაბის კონცეპტის უკეთ გაგებისათვის.

ფილოსოფიის ისტორია წარმოიშვა, როგორც მოვ-ლენებისათვის რაციონალური ახსნის მცდელობისკენ მისწრაფება. როცა ისტორია წარმოადგენს წარსულის ქმედებების, მოვლენებისა და სიტუაციების კვლევის „პირველი რიგის ამოცანას“, ფილოსოფიის ისტორია - ეს „მეორე რიგის ამოცანაა“, ანუ თემების შესწავლის შეს-წავლაა. ეს შეიძლება მივიჩნიოთ “მეტა“ კვლევად, რომე-ლიც არ არის უშუალოდ დაკავშირებული მოვლენებთან, ქმედებებთან და სიტუაციებთან; ამის ნაცვლად, ეს გახ-ლავთ არაპირდაპირი კვლევა, რომელიც მიისწრაფვის წარსულის ახსნისა და პასუხების შემუშავებისაკენ. ის-ტორიის ფილოსოფოსები ამკვიდრებენ ისტორიის პრო-ცესის ყოვლისმომცველ ხედვებს.

ისტორიკოსები ცდილობენ, აღწერონ წარსული, უპასუხონ კითხვას, თუ რატომ იცვლება საზოგადოება, გაანალიზონ აქტორთა როლი და მათი ქმედებები ისტო-რიაში და იპოვონ ისტორიული მოძრაობის უნივერსალუ-რი მოდელი. აზროვნების ზოგიერთი სკოლა ხაზს უს-ვამს ღვთაებრივი ნების არსებობას მაშინ, როცა სხვები

განადიდებენ პიროვნების როლს ან ეკომონიკური და სხვა არაპერსონიფიცირებული ძალების როლს ისტორიულ პროცესში. ისტორიისადმი თანმიმდევრული მიდგომით პლატონი, ჰერდერი, ჰეგელი და ბევრი სხვა ევროპელი მოაზროვნე განიხილავდნენ იუდევლურ-ქრისტიანულ შეხედულებებს დროისა და ისტორიის მიმართ, როგორც სწორხაზოვან პროგრესს ისტორიის კლასიკური ციკლების ცნებასთან კომბინაციაში.

ზოგადად მიღებული კონცეპტუალური სქემის გარეშე, რომელსაც ძალუძდა ერთიანობის მოდელის უზრუნველყოფა, ვინც სცადა მსოფლიოს ისტორიის დაწერა, გამოიყენა სამი მიდგომა: კულტურების ან ცივილიზაციების სერიების მოდელი (თანმიმდევრობა), რომლებშიც ყველა კულტურა (ცივილიზაცია) ექვემდებარება ერთსა და იმავე განვითარების მოდელს; პროგრესის მოდელი; და კაცობრიობის სხვადასხვა ხალხების მრავალფეროვანი ელემენტების მარტივი, პარალელური ისტორიები. თანმიმდევრული მოდელი წარმოადგენს ყველაზე განვითარებულ მოდელს და ის წარმოიშვა ცივილიზაციების შემსწავლელი ისეთი უდიდესი მეცნიერების ნაშრომების წყალობით, როგორიცაა იბნ ხალდუნი.

ფილოსოფიისა და ისტორიის პარადიგმებისა და მათ მიერ ცივილიზაციის განსასაზღვრელად გამოყენებული მიდგომებისაგან განსხვავებით, სოციალური მეცნიერებების პარადიგმა მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს. ანთროპოლოგია იყო პირველი სოციალური მეცნიერება, რომელმაც დაიწყო საკაცობრიო ცივილიზაციისა და

კულტურის შესწავლა. ანთროპოლოგიური ტრადიციის მიხედვით, ცივილიზაცია კულტურის უმაღლესი მდგომარეობა და ყველაზე ფართო კულტურული იდენტობაა.

სოციოლოგები ისტორიას სხვა კუთხით უდგებიან. ისტორიული სოციოლოგია არ ისახავს მიზნად, უპირველეს ყოვლისა, შექმნას ცვლილებების სტრუქტურული პროცესების განვითარების მოდელი. ის ყურადღებას ამახვილებს ისტორიაზე მაშინ, როცა შეისწავლის ისტორიული მოვლენების, ფაქტების ან ინსტიტუციების სოციალურ ასპექტებს. ამ კონტექსტში ცივილიზაცია, როგორც ფართომასშტაბიანი ფენომენი და განვითარების გრძელვადიანი, ისტორიული და ევოლუციური პროცესი, მიეკუთვნება მაკროსოციოლოგიას. ისტორიკოსებისა და ისტორიის ფილოსოფოსების მსგავსად, მაკროსოციოლოგებიც თვლიან, რომ მათ ძალუძთ ადამიანის ცხოვრებაში არსებული ცვლილებების ყველაზე საბაზისო პროცესების გაგება დროის გაცილებით ვრცელი მონაკვეთების ანალიზის წყალობით.

ჩვენი დროის ყველაზე აქტუალური პრობლემები სულ უფრო და უფრო მეტად მიიჩნევა, როგორც მაკროსოციოლოგიური და, შესაბამისად, მოითხოვს მაკროსოციოლოგიურ თეორიასა და კვლევას. მრავალი მაკროსოციოლოგიური პრობლემის წარმოქმნისა და განვითარების მიზეზების გაგება შეუძლებელია მათი უფრო ფართო სოციალური ტენდენციების კონტექსტში განხილვის გარეშე. ანალიზის ერთეულებზე ფოკუსირების წყალობით მაკროსოციოლოგიამ დიდი წვლილი შეიტანა ფარ-

თომასშტაბიანი ფენომენების შესწავლაში პროცესების, კულტურული სისტემების, საზოგადოებებისა და ცივილიზაციების გრძელვადიანი ანალიზის საფუძველზე.

ცვლილებების სოციოლოგიამ ხელი შეუწყო ცივილიზაციისა და ისტორიული ცვლილებების შესწავლას ცვლილებების დონის ერთ კონკრეტულ ცვლადზე დაყრდობით შემდეგი კატეგორიზაციის მეშვეობით: ზომა (ოჯახი, საზოგადოება, კულტურა, ცივილიზაცია, სამყარო); ისტორიული პერიოდი (გრძელვადიანი, მოკლევადიანი); ან ასპექტი (კულტურული, ინტელექტუალური და ცივილიზაციური).

ემპირიულად ორიენტირებული სოციალურ მეცნიერებების პარადიგმა განერიდა უფრო მეტად თეორიულ და ფილოსოფიურ კითხვებს. ლიტერატურამ აჩვენა მეთოდოლოგიის აუცილებლობა ცივილიზაციის ინტერდისციპლინარული შესწავლისთვის და მისი კომპლექსურობის სისტემატური შემოწმებისთვის. „ცივილიზაციის“ სხვადასხვა კონცეპტებმა, შესაძლოა, ხელი შეუწყო ამას თავისი მრავალმხრივი ხასიათისა და არსებული არასაკმარისი მიდგომების გათვალისწინებით. სხვა მიდგომების წარუმატებლობამ ცივილიზაციის შესწავლის ყოვლისმომცველად წარმართვისთვის, გვაფიქრებინა, რომ ცივილიზაცია არ შეიძლება იყოს სათანადოდ გამოკვლეული სხვადასხვა დონეზე იზოლირებულად, არამედ უნდა მოხდეს მისი კონცეპტუალიზირება გლობალურ პერსპექტივაში.

მეოთხე თავი

ცივილიზაციისადმი ბენაბის მიდგომის მთავარი კონცეპტები

ბენაბიმ გააკრიტიკა თანამედროვე მუსლიმურ სამყაროში არსებული რეფორმატორული და მოდერნისტული ტენდენციები მათ მიერ კრიზისის მიზეზების იგნორირებისა და მხოლოდ სიმპტომებზე ფოკუსირების გამო. ის ამტკიცებდა, რომ მუსლიმური რენესანსის ინიცირების მცდელობებმა ვერ წარმოშვეს კრიზისის გაცნობიერების სისტემური მიდგომა. პრობლემა ფესვგადგმული იყო პოსტ „*ალ–მუვაჰ̣ჰ̣იდ*"-ის ეპოქის მუსლიმურ კულტურაში. ბენაბიმ განაცხადა, რომ ისტორიულმა პროცესებმა გზა გაუკვალა კოლონიზებას. მართალია, კოლონიზაცია არ გახლავთ მუსლიმური სამყაროს ახლანდელი სიტუაციის მთავარი განმაპირობებელი მიზეზი, მაგრამ კოლონიზაციის საფრთხის წინაშე ჩვენი დაუცველობა წარმოადგენდა მრავალ მეორეხარისხოვან ფაქტორთაგან ერთერთს.

ცივილიზაციის ბენაბისეული განმარტებები მრავალფეროვანია. მან აღიარა, რომ ცივილიზაცია ააქტიურებს სოციალურ შესაძლებლობებს საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრისათვის და ამყარებს ბალანსს ადამიანის ცხოვრების მორალურ და

მატერიალურ ასპექტებს შორის. რამდენადაც საზოგადოება ამართლებს ადამიანის საქმიანობას ისტორიულ ჭრილში, საზოგადოება წარმოადგენს ნებისმიერი ცივილიზაციური პროცესის მამოძრავებელ ძალას.

ბენაბი ამტკიცებდა, რომ მორალურ და მატერიალურ ფაქტორებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აკისრია ადამიანთა საზოგადოებაში ბალანსის დაცვისთვის, მისი სიცოცხლისუნიარიანობისთვის, სოლიდარობისა და ერთიანობის გენერირებისათვის. მან ცივილიზაცია განსაზღვრა მისი სტრუქტურისა და სოციალური არსის მიხედვით: ”...ადამიანი სწავლობს, თუ როგორ უნდა იცხოვროს ჯგუფში და აცნობიერებს...ადამიანის ცხოვრების ორგანიზებაში სოციალური ურთიერთობების ქსელის უდავო მნიშვნელობას თავისი ისტორიული ფუნქციისა და პასუხისმგებლობების განხორციელებისთვის“.

ბენაბისთვის ფორმულა „ცივილიზაცია=ადამიანი+ნიადაგი+დრო“ წარმოადგენდა ცივილიზაციის განტოლებას, რომელიც სტრუქტურულად განსაზღვრავს მის ელემენტებსა და ინგრედიენტებს. ცივილიზაციის ნებისმიერი ქმედების ან პროდუქტის ეს ძირითადი შემადგენელი ელემენტები მიუთითებს იმაზე, რომ ცივილიზაციის პრობლემა სამ კატეგორიად იშლება: ადამიანი, ნიადაგი და დრო.

ბენაბიმ თქვა, რომ ადამიანის მიერ შექმნილი ყველა ობიექტი ან საგანი წარმოიშვა ადამიანის *(ინსან),* ნიადაგისა *(თურაბ)* და დროის *(ვაკთ)* წყალობით. ნებისმიერ საზოგადოებაში არსებული ეს სამი ელემენტი წარ-

მოადგენს მყარ საფუძველს საზოგადოების მიერ ცივილიზაციური პროცესების დაწყებისათვის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეცნიერულ ჭრილში მოვაქცევთ ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებას, ნიადაგის ექსპლუატაციასა და დროის ორგანიზებას, ცივილიზაცია უზრუნველყოფს საჭირო სოციალური სერვისებითა და დახმარებით, რომლებიც აუცილებელია კაცობრიობას განვითარებისათვის. ამ განტოლებაში ადამიანი *(ინსან)* ცივილიზაციის უმთავრესი მამოძრავებელი საშუალება და ცივილიზაციური პროცესების ცენტრალური ძალაა. ბენაბიმ გააკრიტიკა მუსლიმური სამყაროს რეფორმატორული მოძრაობა გარემოს და არაადამიანური ფაქტორის რეფორმირების მცდელობისათვის და ამტკიცებდა, რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ადამიანის რეფორმირება. მან აღნიშნა, რომ ცივილიზაცია ვითარდება ინტეგრირებული ტიპის ადამიანთან ერთად, რომელიც ახდენს თავისი მახასიათებლების ტრანსფორმაციას თავის იდეალებში, რათა შეასრულოს მასზე დაკისრებული როლი საზოგადოებაში.

ბენაბის აზრით, ორიენტაციის ცნება *(თავჯიჰ)* ეხება ჰარმონიას ცივილიზაციის წინსვლაში, მიზნების ერთიანობასა და ერთი და იმავე წყაროებიდან წარმოქმნილი და მსგავსი მიზნების მატარებელ მცდელობებს შორის კონფლიქტის თავიდან აცილებას. ბენაბი თვლიდა, რომ კულტურა იყო ადამიანზე, როგორც სოციალურ პიროვნებაზე და ასევე საზოგადოებაზე, როგორც კოლექტიურ ორგანიზმზე, გავლენის მქონე უპირველესი ფაქ-

ტორი. კულტურის სახე განსაზღვრავს ცივილიზაციის მიმართულებას და მის ბედს ისტორიაში.

ბენაბის განტოლებაში რელიგია არსებითია სამივე ელემენტის ორგანიზებისა და მათი მიმართვისათვის ცივილიზაციურ პროცესისკენ. ისტორია ცხადყოფს, რომ უკლებლივ ყველა ცივილიზაცია აყვავდა რელიგიური იდეების წყალობით. თუმცაღა, ბენაბის მიდგომის მიხედვით, რელიგია ვერ დაიწყებს თავის ცივილიზაციურ ფუნქციას როგორც კატალიზატორი მანამ, სანამ ის არ ჩაერთვება ცივილიზაციურ პროცესში, რომელიც ერთი პროექტის ფარგლებში აერთიანებს ადამიანს, ნიადაგსა და დროს. ის ამტკიცებდა, რომ თანამედროვე ცივილიზაციებმა ჩამოაყალიბეს ადამიანის, ნიადაგისა და დროის თავდაპირველი დინამიური სინთეზი რელიგიური იდეის აკვანში.

ბენაბი განიხილავდა საზოგადოებრივი სფეროების წარმოშობასა და ბუნებას, რომლის მოქმედების ნებისმიერი კომპონენტი მიეკუთვნება სამი კატეგორიიდან ერთერთს: ობიექტებს, ადამიანებსა და იდეებს. სინთეზის მექანიზმის ამ ელემენტების მიმართ გამოყენება ცხადყოფს, რომ ყველა ქმედება, აქტივობა და საქციელი არის ადამიანების ძალისხმევის ჯამი, ამას კი ემატება მასალებისა თუ ინსტრუმენტების ჯამი, ასევე იმ იდეების ჯამი, რომლებიც ამ მოქმედების შედეგად წარმოიშვა. ცივილიზაციის მიღწევები დამოკიდებულია იმ აქტივობების ერთობლიობაზე, რომლებიც ადამიანის მიერ

განხორციელებული ყველა მოქმედების ჯამიდან გამომდინარეობს.

პიროვნებასთან დაკავშირებულ სფეროში ცივილიზაცია იწყებს საკუთარ პროცესს საზოგადოების საქმიანობაში ინტეგრირებულ, გარდაქმნილ ინდივიდზე დაყრდნობით, ბენაბის „პიროვნებათა სფერო“ აღნიშნავს გარკვეული ჯგუფის კონსტრუქციულ ან დესტრუქციულ ურთიერთობათა ერთიანობას. ბენაბი ხაზს უსვამს ამ ურთიერთობების მნიშვნელობას. შესაბამისად, საზოგადოების ბედი თავის ცივილიზაციურ პროცესში დამოკიდებულია სისტემაში პიროვნებასთან დაკავშირებული სფეროს მიერ დამყარებული ურთიერთობების ბუნებაზე ან ხარისხზე.

ბენაბის აზრით, იდეების სფერო შედგება საკრალური ან საერო წყაროებიდან მიღებული შთამბეჭდავი იდეებისაგან და ის ფუნქციონირებს შაბლონის სახით, რომელიც გზას უკვლევს საზოგადოებას გარკვეული ღირებულებებისა და ეთიკისაკენ. მუსლიმურ ცივილიზაციაში შთამბეჭდავი იდეები წარმოდგება ყურანიდან და სუნადან. ბენაბი ცივილიზაციას აღიქვამდა როგორც ცოცხალი, დინამიური იდეის შედეგს, რომელმაც მოახდინა ცივილიზაციამდელი საზოგადოების მობილიზაცია ისტორიაში შესასვლელად და მისი არქეტიპების შესატყვისი იდეების სისტემის შესაქმნელად.

იდეების სფერო საზოგადოებას სთავაზობს ხედვასა და ორიგინალურ მოდელებს მისი ცივილიზაციის ჩამოყალიბებისათვის და ქმნის პროტოტიპს, რომელსაც

შეუძლია მიჰყვეს საზოგადოებაში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანი, რომელიც განასხვავებს კულტურებს. იდეების სფერო მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, რათა შეასრულოს ნებისმიერი სახის კონსტრუქციული როლი ისტორიაში. ობიექტების სფერო უზრუნველყოფს საშუალებებს, წყაროებს, ბუნებრივ რესურსებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც საჭიროა ცივილიზაციის განვითარების პროცესისათვის. ის უზრუნველყოფს საზოგადოებას ისტორიული წინსვლისთვის მატერიალური საშუალებებით და გამოხატავს საზოგადოების პოზიციას თავის ცივილიზაციურ პროცესში.

ბენაბი ირწმუნებოდა, რომ შეუძლებელია ამ სფეროებს შორის ნებისმიერი ისტორიული აქტივობის არსებობა „სოციალური ურთიერთობების ქსელის“ გარეშე, კონცეფცია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების ბუნებისა და დინამიკის მისეულ გაგებასთან სოციალურ-კულტურული და ისტორიული თვალსაზრისით. ამ სამ სფეროს შორის არსებული დიალექტიკური ურთიერთობა აღნიშნავს და გულისხმობს სოციალური ურთიერთობების ქსელის არსებობას. ეს სფერო უზრუნველყოფს სამ სფეროს შორის აუცილებელი ურთიერთობის მინიმუმს ნებისმიერი ისტორიული მოქმედებისათვის, რომელიც ცდილობს ცივილიზაციის აღშენებლობას. ეს სამი სფერო ვერ იფუნქციონირებს სოციალური ურთიერთობების ქსელის გარეშე.

ვინაიდან ბენაბი, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებული იყო მუსლიმური საზოგადოების რეკონსტრუი-

რებით, მისი კულტურის გამოცოცხლებითა და მისი განწმენდით დაკნინების დროიდან მემკვიდრეობით მიღებული უარყოფითი ელემენტებისგან, მან ხაზი გაუსვა „დამოუკიდებლობის სოციოლოგიის“ აუცილებლობას. ამ ახალი სოციოლოგიის საწყისი წერტილი „საზოგადოების“ ხელახალი განსაზღვრა იყო. ის გულისხმობდა, რომ თუ ბუნებრივი საზოგადოება სტატიკური საზოგადოებაა, ისტორიული საზოგადოება დინამიურია. იგი ამტკიცებდა, რომ ზოგიერთი მახასიათებელი საერთოა ისტორიული საზოგადოების ყველა ტიპისათვის. სოციალური ურთიერთობების ქსელი აკავშირებს საზოგადოების წევრებს და მიმართავს მათ საქმიანობას საერთო ფუნქციის შესრულებისაკენ, რაც წარმოადგენს ამ საზოგადოების კონკრეტულ მისიასა და მოწოდებას.

მესამე თავი

ცივილიზაციის მოძრაობის ბენაბისეული ინტერპრეტაცია

ბენაბი ცივილიზაციის ციკლს განიხილავდა როგორც „თანმიმდევრულ სერიას, რომელიც მიჰყვება თავის კურსს მსგავსი, მაგრამ არა იდენტური პირობებით“ და ვარაუდობდა, რომ გარკვეული ცივილიზაციები ციკლურია და მისდევს შაბლონურ კურსს. თითოეული სოციალური ჯგუფი ტოვებს თავისი სპეციფიკური მახასია-

თებლების კვალს ცივილიზაციაში და ყოველ ცივილიზაციას განხვავებული იდენტობის მატარებელია. ცივილიზაციები განსხვავდება სპეციფიკური ფსიქო-დროებითი პირობების მიხედვით, მაგრამ მსგავსნი არიან ისტორიაში მათი ზოგადი სქემით.

ბენაბი ირწმუნებოდა, რომ ცივილიზაცია საკუთარ ციკლს იწყებს მაშინ, როდესაც ხდება მისი ფუნდამენტური ელემენტების სინთეზირება რელიგიური იდეების მოდელთან და სრულდება მაშინ, როდესაც ეს ფუნდამენტური იდეები აღარ ურთიერთქმედებენ დინამიურად. ყოველი ცივილიზაცია თამაშობს თავის როლს ისტორიაში მანამ, სანამ არ იწყება მისი დაღმასვლა და არ წყვეტს განვითარებასა და კაცობრიობის წარმართვას. სხვა ცივილიზაცია ახლებურად იწყებს ისტორიაში საკუთარი ციკლის ფორმულირებას. ცივილიზაციის ეს გარდამავალ პროცესი ამართლებს ისტორიაში ციკლური ფენომენს.

ბენაბი ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი საზოგადოება თავის ცივილიზაციურ პროცესში მიჰყვება განსაზღვრულ სქემას, რომელიც მიიყვანს მას ცივილიზაციის ტრანსფორმაციამდე. ცივილიზაციამდელი სტადიის დასრულების შემდგომ, მეორე სტადიის დროს, საზოგადოება (ცივილიზებული ეტაპი) გაივლის სამ ფაზას: სული (სულიერი), გონი (რაციონალური) და ინსტინქტი (ინსტინქტური).

ციკლურ ცნებას შეუძლია სოციალური პრობლემების მოგვარება ისტორიის ციკლში ჩვენი პოზიციის გან-

საზღვრით, დაღმასვლის მიზეზებისა და პროგრესის პოტენციალის გაცნობიერებით. ციკლის კონცეპტს შეუძლია ცივილიზაციის მოძრაობის ახსნა. ის წარმოადგენს საფუძველს ადამიანის სოციალური არსებობის ანალიზისა და გაგებისათვის. ბენაბიმ შეიმუშავა ეს იდეა იბნი ხალდუნის იდეებზე დაყრდნობით და ივარაუდა, რომ ადამიანური ცივილიზაცია იწყება ამ მოცემული მომენტიდან და მიჰყვება განსაზღვრულ სქემას. დასკვნით ფაზაში, ხდება ცივილიზაციის ღირებულებების ტრანზიცია და იწყებს მოძრაობას სხვა მიმართულებით. სწორედ ეს ტრანზიცია გულისხმობს ციკლის არსებობას.

ბენაბი თვლიდა, რომ ციკლის სამი ფაზა არ წარმოადგენს ერთი მდგომარეობიდან მეორეში სპონტანურ გადასვლას, არამედ ასახავს საზოგადოებისა და ადამიანების ღრმა ტრანსფორმაციებსა და მოდიფიკაციებს. გამონაკლისი გარემოებები აუცილებელია სამივე ფაქტორის (ადამიანი, ნიადაგი და დრო) ისტორიული, ორგანული სინთეზის წარმოქმნისათვის. სწორედ ეს სინთეზი აღნიშნავს საზოგადოების დაბადებას, რადგანაც ის ემთხვევა მისი ისტორიული საქმიანობის დასაწყისს. ამ ეტაპზე სოციალური ფასეულობები ჯერ კიდევ არ არის კონკრეტული რეალობა.

ყოველი ცივილიზაციის დასაბამში რელიგიური იდეები თესავს მარცვლებს ცივილიზაციის ამოძრავებისთვის. შემდეგ სულიერი ეტაპი იწყებს ინდივიდებისა და საზოგადოების ცხოვრებაზე დომინირებას. ამ ფაზის განმავლობაში, როდესაც სოციალური ურთიერთობების

ქსელი ყველაზე მჭიდროა, დეინტეგრირებული ადამიანი იქცევა ინტეგრირებულ ადამიანად. ეს განპირობებული პროცესი ორგანიზებას უწევს ინსტინქტებს ფუნქციონალურ ურთიერთობაში რელიგიური იდეის მოთხოვნების შესაბამისად. ამ ახალ მდგომარეობაში ინდივიდი ერთვება ცხოვრებით, რომელიც ეფუძნება სულიერ კანონებს.

სოციალური ურთიერთობების ქსელი აღწევს სრულყოფილ მდგომარეობას, ხოლო მისი რელიგიური იდეა აგრძელებს გავრცელებას. ამავე დროს, ცივილიზაციას ამიერიდან შეუძლია გაუმკლავდეს ახალ პრობლემებსა და საჭიროებებს, ჩამოაყალიბოს ახალი წესრიგი და შექმნას ახალი სტანდარტები. სულიერი ეტაპი კნინდება საზოგადოების განვითარების, მატერიალური პრობლემების წარმოქმნისა და ცივილიზაციის გავრცელებასთან ერთად და ცივილიზაცია გადადის მეორე (რაციონალურ) ფაზაში. გონება ამიერიდან აკონტროლებს ყველანაირ საქმიანობას, ცივილიზაცია კი აგრძელებს პროგრესს ისტორიაში. რადგანაც ცივილიზაცია გადადის რაციონალურ ფაზაში, საზოგადოება სარგებლობს კარგად განვითარებული ურთიერთობების ქსელით, მაგრამ იტანჯება გარკვეული დეფექტების გამო. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, სოციალური ფუნქციების შესრულებისას ინდივიდს აღარ გააჩნია თავის სასიცოცხლო ენერგიაზე სრული კონტროლი. საზოგადოების ძალებისა და ენერგიების ნაწილი უმოქმედო ხდება, სხვები კი კნინდება.

ცივილიზაციის ისტორიის განმავლობაში მისი ევოლუციის პროცესი ვლინდება ინდივიდის ფსიქოლოგიითა და საზოგადოების მორალური სტრუქტურით, რომელიც წყვეტს ინდივიდუალური ქცევის კორექტირებას. როდესაც რაციონალური ძალები იწყებენ ინდივიდის საქმიანობაზე კონტროლის დაკარგვას, ცივილიზაცია დგება ახალი კონტექსტის წინაშე, რომელშიც ინსტინქტური ძალები დომინირებენ სულიერ და რაციონალურ ძალებზე. ცივილიზაცია გადაინაცვლებს პოსტცივილიზაციურ ეტაპზე და მისი ღირებულებები ადამიანის, ნიადაგისა და დროის ახალ სინთეზზე გადადის. ამ მესამე ეტაპზე სოციალური ქსელი იშლება და რელიგიური იდეები ან საზოგადოება აღარ აკონტროლებს ინდივიდუალურ ინსტინქტებს. ჭარბობს ქაოსი და უკანონობა. ინსტინქტები თანდათან თავისუფლდება, რამდენადაც სულის კონტროლი თანდათანობით მცირდება.

ინსტინქტების სრულად გათავისუფლდების შემდეგ, ადამიანის ბედი ექცევა მათი გავლენის ქვეშ და იწყება ცივილიზაციის მესამე ეტაპი. რელიგიური იდეები წყვეტს თავისი სოციალური ფუნქციების შესრულებას. შესაბამისად, საზოგადოება იშლება, რაც, თავის მხრივ, აღნიშნავს ცივილიზაციის ციკლის დასრულებას. სულის შთაგონების შეწყვეტასთან ერთად რაციონალური შრომაც შეჩერებისკენ იხრება.

ბენაბი მიიჩნევდა, რომ ცივილიზაციები ურთიერთკავშირში მყოფი ციკლებია, რომლებიც იწყება რელიგიური იდეით და მთავრდება მაშინ, როდესაც ინსტინ-

ქტური ძალები დომინირებენ სულიერ და რაციონალურ ძალებზე. ის თვლიდა, რომ ცივილიზაციის ეს სრული ციკლი, თავისი სამი ფაზით, ასახავს ცივილიზაციის სასიცოცხლო ენერგიას და იმას, თუ როგორ გარდაიქმნება ის ერთი ფაზიდან მეორეში გადასვლისას. ცივილიზაციის ევოლუციის თითოეული ეტაპის ცოდნა და მისი მახასიათებლების გაცნობიერება გვაწვდის განვითარებისა და ევოლუციის ზოგად მოდელს.

ბენაბის საზოგადოებების კატეგორიზაციიდან გამომდინარე, ადამიანთა საზოგადოება ვერ გაჩერდება საკუთარ არსებობაში მხოლოდ ერთ ადგილზე. ამის ნაცვლად, ის გადადის ერთი მდგომარეობიდან მეორეში თავისი განვითარების ფსიქო-სოციალური ფასეულობების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, განვითარების ღერძზე საზოგადოების პოზიციის ცოდნა უდავოდ აუცილებელია ამ საზოგადოების სტადიის განსაზღვრისა და ამასთან დაკავშირებული პრობლემებისა თუ მიღწევების დადგენისათვის.

ბენაბი ამბობს, რომ ღერძზე, რომელიც წარმოადგენს განვითარების სტადიებს, ისტორიული საზოგადოება სპეციფიკურ ადგილს იკავებს. ისტორია ცხადყოფს სამი ეტაპის არსებობას: ცივილიზაციამდელი საზოგადოება, ცივილიზებული საზოგადოება და პოსტცივილიზებული საზოგადოება. ნებისმიერ მომენტში თითოეული საზოგადოება ამ სამიდან ერთერთ კონკრეტულ საფეხურზე იმყოფება და ხასიათდება სპეციფიკური ღირებულებებით. ცივილიზაციის პრობლემების უკეთ გაგების

მიზნით მეთოდოლოგიის შემუშავებისათვის ბენაბიმ ყურადღება გაამახვილა ისტორიაზე, სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაზე. მან გამოიყენა ფსიქოსოციალური ინტერპრეტაცია, რათა აეხსნა საზოგადოების ისტორიული მოგზაურობა და აღმოეჩინა თანამედროვე მუსლიმური სამყაროს თავისებურებები.

წინარე ცივილიზაციის დროინდელ ინდივიდს ბენაბი აღიქვამდა როგორც ბუნების ადამიანს (ჰომონატურა), რომელიც მუჰამად შუამავლის ეპოქის არაბი ბედუინის მსგავსად მზადაა ცივილიზაციის ციკლში შესვლისათვის. ცივილიზაციამდელ საზოგადოებას სჭირდება მამოძრავებელი ძალა ცივილიზაციური უნარების მოტივირებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ფლობს ცივილიზაციის პირველად ელემენტებს (ადამიანი, ნიადაგი და დრო), ისინი უმოძრაოა რელიგიური იდეის ძალის გარეშე. რელიგიური იდეის გარეშე ადამიანის, ნიადაგისა და დროს შორის დინამიურ ურთიერთქმედებით საზოგადოება ვერ წამოიწყებს თავის ცივილიზაციურ პროცესს ან ვერ გახდება რაიმე ფსიქო-სოციალური გარდაქმნის მოწმე.

ინდივიდისა და საზოგადოების ფსიქო-სოციალური განვითარება დასაშვებს გახდის ცივილიზაციურ მოძრაობას, რადგან საზოგადოების შესაძლებლობები მიმართულია სოციალური პროექტისაკენ. როდესაც ცივილიზებული საზოგადოება იწყებს საკუთარი თავის შეცვლას საკუთარი მიზნების მისაღწევად, თავს იჩენს მისი ცივილიზირება. ცივილიზებული ეტაპი ასახავს საზოგადოე-

ბის უნარს, შეძლოს საკუთარი მსოფლმხედველობისა და კულტურის ორგანიზება და ფორმულირება. მაშინ, როდესაც ადამიანი მზად არის ცივილიზაციის პროცესის წამოწყებისთვის, სოციალური ურთიერთობების ქსელი ყველაზე ძლიერია. ამ სტადიაზე საზოგადოებას შეუძლია დაიცვას თავისი ცივილიზაცია და შეინარჩუნოს მისი განვითარების ტემპი. განვითარების ამ ეტაპზე ყველა ადამიანი სარგებლობს საზოგადოების დაცვით, ხოლო საზოგადოება ასრულებს თავის ცივილიზაციურ ფუნქციებს.

როდესაც საზოგადოება აღწევს პოსტცივილიზაციურ ეტაპს, ის აღარაა დინამიური და კარგავს თავისი ცივილიზაციის შესაძლებლობებს, შედის დაქვეითების ფაზაში. შესაბამისად, რელიგიური იდეა წყვეტს ცივილიზაციური ფასეულობების სინთეზირებას, ხოლო სოციალური ურთიერთობების ქსელი გადაგვარებულია. და მაინც, დაცემა არ არის წინასწარ განსაზღვრული. კიდევ ერთმა სხვა ცივილიზირებულმა ქმედებამ შესაძლოა დაიცვას საზოგადოება ასეთი ბედისწერისაგან და აარიდოს დაკნინების გზა. მას შემდეგ, რაც საზოგადოება კარგავს თავის კულტურულ მოდელს, მისი იდეების სფერო ქაოტურ მდგომარეობაში აღმოჩნდება და მისი კულტურა უკვე აღარაა ცივილიზაციური. ბენაბიმ ასევე შენიშნა, რომ მეცნიერებს ერევათ სტადიები და არასწორად აქვთ აღქმული სხვადასხვა სტადიის მახასიათებლები. ეს კი ართულებს საზოგადოების პრობლემების მოგვარების ნებისმიერ მცდელობას.

ბენაბი შეეცადა მუსლიმურ სამყაროში ამჟამად არსებული პრობლემების მოგვარებას მისი, როგორც მესამე სტადიაში მყოფი ცივილიზაციის განხილვით, რომელშიც, სხვა სტადიებთან შედარებით, საზოგადოებამ დაკარგა თავდაპირველი აზროვნება ან ქცევა. საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად საზოგადოებამ უნდა აღიდგინოს ორიგინალურობა და დინამიური მოქმედება ახალი ადამიანის შექმნის გზით, რომელიც განთავისუფლებულია პოსტცივილიზაციური ადამიანის მახასიათებლებისგან. შემდგომ მას შეუძლია შევიდეს დროსა და ნიადაგთან ახალი სინთეზის ერაში და გააერთიანოს ეს რელიგიურ იდეასთან. ბენაბის ამტკიცებდა, რომ აუცილებელია ჩვენი ისტორიული სტადიის, ჩამორჩენილობისა თუ განვითარების მიზეზების ცოდნა. სოციალური პრობლემები ისტორიული ხასიათისაა: ის, რაც შეესატყვისება საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპს, შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს სხვა ეტაპზე.

ბენაბი საზოგადოების ევოლუციას ასევე ფსიქოსოციოლოგიური პერსპექტივიდანაც მიუდგა და წარმოადგინა საზოგადოების განვითარების სამი ფსიქოსოციოლოგიური ეპოქის კონცეფცია: ობიექტების ეპოქა, ხალხების ეპოქა და იდეების ეპოქა. მან ასევე წარმოადგინა დიალექტიკური ურთიერთობის ზოგადი კონცეფცია ადამიანების, ობიექტების (საგნების) და იდეების სფეროებს შორის, რაც შინაარსს ანიჭებს სამი ეპოქის კონცეფციას. ბენაბი ამბობდა, რომ ყოველ საზოგადოებას აქვს თავისი კომპლექსური კულტურული სამყარო, რომელშიც ობიექტების, ადამიანებისა და იდეების სფეროე-

ბი გადახლართულია საზოგადოების შეთანხმებულ მოქ-მედებებთან. ერთი სფერო ყოველთვის უზენაესია სხვა ორ სფეროსთან შედარებით.

საწყის ხანაში საზოგადოება აყალიბებს საკუთარ შეფასებებსა და გადაწყვეტილებებს ობიექტების სფე-როს მიერ დაწესებული კრიტერიუმების მიხედვით. შე-ფასების ბუნება და ხარისხი დამოკიდებულია ადამიანის პრიმიტიულ მოთხოვნილებებზე, რომლებიც ამკვიდრებს მას ობიექტების სფეროში. ბენაბი ამტკიცებდა, რომ ცი-ვილიზაციამდელი და პოსტცივილიზაციის ეპოქების სტადიებზე ადამიანების საზოგადოება განიცდის ობიექ-ტების ერას. დღევანდელ მუსლიმურ საზოგადოებაში ეს გავლენას ახდენს ფსიქოლოგიურ, მორალურ, სოცია-ლურ, ინტელექტუალურ და პოლიტიკურ დონეებზე. თუ ფსიქოლოგიურ და მორალურ დონეზე, როდესაც კულ-ტურა ორიენტირებულია ობიექტებზე, „ობიექტს“ უკავია ფასეულობების სკალის მწვერვალი, შეფასება იქნება რაოდენობრივი და არა ხარისხობრივი, და ყველაფერი შეფასდება ობიექტების მასშტაბებით და არა ღირებუ-ლებებით.

მეორე ეპოქაში საზოგადოება აყალიბებს საკუთარ შეფასებებს ადამიანის მოდელის ან მაგალითის სტან-დარტების მიხედვით, რომლებიც გამომდინარეობს პი-როვნებისა და არა ობიექტების სფეროდან. ამ პერიოდ-ში ობიექტების და იდეების სფერო უნდა იყოს ადამია-ნის სფეროს თანმხლები. ბენაბიმ წარმოადგინა „ჯა-ჰილიიის“ (წინაისლამური არაბული) საზოგადოება, რო-

გორც იმ ადამიანთა სფეროს იდეების ცენტრალიზაციის მაგალითი, რომლებიც იყვნენ შეზღუდულნი ტომობრივი საზღვრებით. ამჟამინდელ მუსლიმურ საზოგადოებაში არსებობს კავშირი ობიექტებისა და ადამიანების სფეროს დესპოტიზმს შორის, რომელიც, ბენაბის აზრით, საზიანოა, განსაკუთრებით მორალურ და პოლიტიკურ დონეზე.

ავტორს მიაჩნია, რომ სამი ეტაპის კონცეფცია მნიშვნელოვანი იარაღია ისტორიის მდინარებაში საზოგადოების მოძრაობისა და კონკრეტულ მომენტში საზოგადოების წამყვანი ფასეულობების შეფასებისათვის, რითაც გვეცოდინება, იმყოფება საზოგადოება აღმავლობის თუ დაღმავლობის ეტაპზე. საზოგადოების მოქმედება უნდა განიხილებოდეს როგორც ინტეგრირებული აქტივობა, რომელშიც ობიექტების სფერო ერწყმის ადამიანისა და იდეების სფეროს. ერთი სფერო ყოველთვის დომინირებს სხვა ორზე და განასხვავებს ერთ საზოგადოებას მეორისაგან ქცევისა და აზროვნების თვალსაზრისით.

სამი ეპოქის კონცეფცია შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც საზოგადოების ფსიქო-სოციალური მომწიფების, მისი ცივილიზაციის პროცესის მიმართულების, საქმიანობის ორგანიზებისა და ისტორიის განმავლობაში ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლისას გადაცემული ფასეულობების შეფასების სკალა. გარდა ამისა, ერთი სფეროს დომინირება დანარჩენ ორ სფეროზე გვიჩვენებს, თუ სად იმყოფება საზოგადოება თავის ისტორი-

ულ მოძრაობაში. ეტაპები წარმოადგენს იმ სოციალურ ფასეულობებსა და კულტურულ გარემოს, რომლებიც დომინირებენ და გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე.

ბენაბიმ მუსლიმური სამყარო განათავსა ცივილიზაციამდელ ეტაპზე, რომელშიც ის მთელი ძალებით ცდილობს ახალი ცივილიზაციის ჩამოყალიბების პროცესში ჩაბმას. ისტორიაში ცივილიზაციის დინამიური პროცესის სრულყოფილი გაგებისთვის მან ცივილიზაციური მოძრაობის ინტერპრეტაცია სხვადასხვა დონით გაანალიზა. ბენაბისეული ციკლების კონცეფცია, სამი სტადია და სამი ეპოქა გახლავთ ერთი ფენომენის მრავალდონიანი ანალიზი.

ბენაბის თქმით, საზოგადოების განვითარება საკუთარი ცივილიზაციის ჩამოყალიბების პროცესში ფიქსირდება ხარისხობრივად და რაოდენობრივად მის სოციალურ ურთიერთობათა ქსელში, რაც მიუთითებს საზოგადოების განვითარების ეტაპებს მისი ისტორიის მდინარებაში. იგი ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი ცივილიზაციური პროცესი იწყება მანამდე, სანამ მისი სამი სფერო განვითარდება. ადამიანის სფეროს ჩამოყალიბება სოციალური ურთიერთობების ქსელის ჩამოყალიბების წინაპირობაა. საზოგადოება ფუნქციონირებს მაშინ, როდესაც იდეებისა და ობიექტების სფეროები ჯერ კიდევ მარტივია. შემდეგ ადამიანის სფერო იცვლება და ინტეგრირდება ურთიერთობების ახალ წესრიგში. სოციალური ურთიერთობების ქსელი იწყებს მუშაობას, ხოლო იდეებისა

და ობიექტების დანარჩენი ორი სფერო ჯერ კიდევ უმწიფარია.

იდეების სფერო საზოგადოებრივი დამცველის როლს ასრულებს, რამდენადაც მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალური ურთიერთობების ქსელთან. საზოგადოება დაკავებულია რეკონსტრუქციით, ეს კი შეუძლებელია სოციალური ურთიერთობების ქსელის არსებობის გარეშე. ცალკე აღებულ იდეების სფეროს არ შეუძლია გაამართლოს ცივილიზაციის განვითარება ან დაღმასვლა. პირიქით, ის უნდა ინტეგრირდეს სოციალური ურთიერთობების ქსელთან. საზოგადოების ისტორია სხვა არაფერია, თუ არა სოციალური ურთიერთობების ქსელის ისტორია, რომლის შექმნასაც საფუძვლად რელიგიური იდეია უდევს.

მეოთხე თავი

ცივილიზაციისადმი ბენაბის მიდგომის ფესვები: შიდა სოციალური განზომილება

შიდა სოციალური განზომილების რიტცერისეული განმარტების გამოყენებით, ეს თავი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა გავლენა მოახდინა ამ ფაქტორებმა ბენაბის მიდგომაზე. ბენაბის ბიოგრაფიული მონაცემები საკმაოდ მწირია და მისი ავტობიოგრაფია მოიცავს პერიოდს დაბადებიდან (1905 წელი) 1939 წლამდე. ბენა-

ბის ცხოვრების დანარჩენი ნაწილის შესახებ საკმაოდ შეზღუდული წყაროები არსებობს, რომლებიც ივსება მისი წიგნების, თანამედროვეების ნაშრომებისა და მისი ეპოქის ისტორიული ჩანაწერებით.

მალიქ ბენაბი დაიბადა 1905 წელს აღმოსავლეთ ალჟირში, ღარიბ ოჯახში. ისლამურმა გარემომ, რომელმაც ჩამოაყალიბა ის პიროვნებად, ასევე იცავდა ალჟირელ მუსლიმებს, მათ კულტურასა და ცივილიზაციას კოლონიური ზეწოლისგან. ბებიაჩემის "ღვთისნიერმა მონათხრობებმა ღმერთის შესახებ ქვეცნობიერად ჩამოაყალიბა ჩემი პიროვნება და მათი წყალობით შევიტყვე, რომ დალოცვა ისლამური ფასეულობებისა და ეთიკის ზენიტია."

ფრანგული მმართველობის დროს ის გახდა მოწმე მრავალი ადგილობრივი ოჯახის ალჟირიდან აღმოსავლეთით მდებარე არაბულ ქვეყნებში კოლექტიური მიგრაციისა. მათ შორის იყვნენ ბენაბის ნათესავებიც. კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ მიმართულმა ასეთი ტიპის პროტესტმა დრამატულად შეცვალა ალჟირის სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურა. ტრადიციულმა ისლამურმა გარემომ დეგრადაცია განიცადა, ტრადიციული ცხოვრება მოიშალა და კოლექტიური ყოფა საფრთხეში აღმოჩნდა. ბენაბიმ გააცნობიერა სოციალური ურთიერთობების მნიშვნელობა ოჯახის მიკრო დონესა და საზოგადოების მაკრო დონეზე.

ბენაბის საზოგადოებაში მუსლიმური ცივილიზაციის დაკნინების შემდეგ სწორედ ტრადიციულმა ინსტი-

ტუტმა, *ზავიჲამ*, ითამაშა გადამწყვეტი როლი ისლამური მოძღვრებების შენარჩუნებაში ისევე, როგორც განათლებამ და ოფიციალურმა არაბულმა ლიტერატურამ. მთხრობელებმა შეძლეს ხალხური კულტურის შენარჩუნება. მეჩეთმა და მედრესემ ასევე ითამაშა საკვანძო როლი ბენაბის მიერ განათლების მიღებაში. მან შეისწავლა არაბული გრამატიკა, ლიტერატურა, პოეზია, იურისპრუდენცია და თეოლოგია.

თავის პირველ წიგნში ბენაბიმ ყურანის ძირითადი თემების ხელახალი ინტერპრეტაცია განახორციელა და შეიმუშავა საკუთარი თეორიები სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ სფეროში. მისმა ცენტრალურმა თეზისმა რელიგიის შესახებ მიმართულება მისცა მის ანალიზს რელიგიის არსსა და როლზე ნებისმიერ ცივილიზაციურ პროცესში. ბენაბისთვის რელიგია ჩაქსოვილია სამყაროს წესრიგში როგორც კანონი, რომელიც ახასიათებს ადამიანის სულს. მოგვიანებით, საფრანგეთში ბევრ მუსლიმ მოაზროვნესა და აქტივისტთან შეხვედრის შემდგომ, ბენაბიმ აღმოაჩინა ისლამი მისი უნივერსალური პერსპექტივიდან. ის ისლამს მიიჩნევდა რელიგიად, ცხოვრების წესად, სოციალური ენერგიის წყაროდ, კულტურად და ცივილიზაციად.

მუსლიმურ სამყაროში არსებული განათლების პრობლემა იყო ის საკვანძო საკითხი, რომელიც მეტად აღელვებდა ბენაბის. იგრძნობოდა ხედვის სისტემის, მეთოდოლოგიის, საშუალებების და ფუნქციების ნაკლებობა, განსაკუთრებით კი მჩაგვრელი კოლონიური მმარ-

თველობის ქვეშ მყოფ ალჟირში. ორმა საგანმანათლებლო სისტემამ შთააგონა მის გონებასა და სულს, ეძია ტრადიციული სისტემის დაშლისა და თანამედროვე (ფრანგული და დასავლური) განათლების სისტემის წინსვლის მიზეზები.

იმ დროს, როცა პირველი საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მეორე თანდათანობით ფართოვდებოდა, სარგებლობდა განვითარებული მეთოდოლოგიით, მკაფიო ხედვითა და კოლონიური რეჟიმის მფარველობით. და მაინც, მისი სეკულარიზებული ხედვა და პროდასავლური მისია ეწინააღმდეგებოდა მუსლიმური ცივილიზაციის ჩარჩოებს და იწვევდა დიქოტომიას, რომელიც ბენაბის ყურადღებას იპყრობდა მთელი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმავლობაში.

ბენაბი აკვირდებოდა და აფიქსირებდა ცვლილებებს, რომლებიც ვლინდებოდა ევროპული და მუსლიმური ალჟირის ცხოვრებასა და აზროვნებაში. ამ ორმა კონტექსტმა მოახდინა გავლენა მის კონცეპტებზე ბუნების ადამიანისა და ცივილიზაციის ადამიანის შესახებ. მან გამოსცადა მუსლიმი ინტელექტუალური წრეების აზროვნების ახალი ტენდენციები. ალჟირის საზოგადოებისათვის *'ულამ3'ს* (რელიგიური პირების) მოძრაობა წარმოადგენდა უპრეცედენტო შემთხვევას საზოგადოების რეფორმების მიმართ არსებული მიდგომისა და მეთოდების თვალსაზრისით.

ბენაბის მიერ მიღებულმა გამოცდილებამ მას, როგორც კოლონიური ალჟირის მოქალაქეს, ორი საგანმა-

ნათლებლო სისტემის სტუდენტსა და ევროპელ კოლონიზატორებთან კონტაქტის მქონე პირს, კოლონიზებულისა და კოლონიზატორის შესახებ იდეები და „კოლონიზაციის" კონცეფცია ჩამოუყალიბა, როგორც ინსტრუმენტისა მუსლიმების დღევანდელი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაანალიზებისათვის.

ბენაბის მიერ ევროპული აზროვნების ცოდნამ გაზარდა მისი ინტელექტუალური და პოლიტიკური ცნობიერება, ხოლო მისი ინტერესი საინჟინრო მეცნიერებებიდან გადაერთო ფილოსოფიისა და სოციალური მეცნიერებისაკენ, შემდგომში კი მიემართა მუსლიმური რეფორმისტული აზროვნების, დეკოლონიზაციის მოძრაობისა და ალჟირისა და ზოგადად, მუსლიმური სამყაროს აღორძინების მცდელობისაკენ. მან გააცნობიერა „'ულამ3'ს" მნიშვნელობა ალჟირისათვის და დაიწყო *„ის̣ლ3ჰ"* (რეფორმა) და *„მაღრიბის"* (ჩრდილოეთი აფრიკა) ერთიანობის იდეების პროპაგანდა. ბენაბიზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა „'ულამ3'ს" რეფორმისტულმა მოძრაობამ, რომელიც მიმართული თავისუფალი და დამოუკიდებელი ალჟირული საზოგადოების შექმნისაკენ მანამ, სანამ მათ სოციალური ხელმძღვანელობა პოლიტიკოსებს არ გადაულოცეს. მას სწამდა, რომ საგანმანათლებლო და კულტურული საქმიანობა გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პოლიტიკური აქტივიზმი.

როცა ეგვიპტეში გადასახლებული იყო პოლიტიკურ ლტოლვილად, ბენაბიმ დაამყარა კავშირი იმ ინტელექტუალურ და ტრადიციულ ინსტიტუტებთან, რომლებმაც

იქონიეს გავლენა არაბ ინტელექტუალებზე და მათ ყურადღება გაამახვილებინეს მუსლიმური უმმას განახლებისა და აღორძინების საკითხებზე. ბენაბი გარდაიცვალა ალჟირში 1971 წელს და დატოვა უდიდესი მუსლიმი მოაზროვნის მემკვიდრეობა და სახელი, რომელიც ოდესმე ჰყოლია ალჟირს მოდერნულ ხანაში.

ბენაბის კავშირები განისაზღვრა მეტათეორიზაციის მეთოდოლოგიის მოდელის მიერ მისი შიდასოციალური განზომილების მიხედვით. მას სჯეროდა გუნდური მუშაობისა და მუსლიმური და განვითარებადი სამყაროს ინტელექტუალთა შორის მჭიდრო კავშირების მნიშვნელობისა არასაკმარის განვითარებასთან დაკავშირებული რთული საკითხების მოგვარებაში. მას ყველაზე ძლიერი კავშირი ჰქონდა მუსლიმური სამყაროს რეფორმატორულ მოძრაობასთან, რომელსაც „‘ულამა’“ წარმოადგენდნენ.

ბენაბის მიერ ისლამის მიმართ ერთგულებამ და იბნ ხალდუნით აღტაცებამ მიმართა მისი ანალიზი მუსლიმი ინტელექტუალების დასავლურ კულტურასთან შედარებით არასრულფასოვნების კომპლექსის შესწავლისაკენ. მან აღნიშნა, რომ ტრადიციული კულტურის წარმომადგენელმა ინტელექტუალებმა (‘*ულამა*’) ვერ შეძლეს თავიანთი მნიშვნელოვანი მისიის შესრულება ისტორიაში *ალ-მუვაჰ̣ჰ̣იდის* ერის მოდელის გამო. ‘*ულამა*’ ფოკუსირებას ახდენდნენ ისლამური მოძღვრებების სიწმინდესა და მის შენარჩუნებაზე, და ზრუნავდნენ შეც-

ვლილ სულსა და აზროვნებაზე პოსტ-*ალ–მუვაჰ̣ჰ̣იდის* კულტურიდან ახალ კულტურაში გადასვლისას.

ადრეული მუსლიმი მეცნიერები და მწერლები, როგორებიც არიან: იბნ თაჲმიჲჲა, იბნ ხალდუ̄ნ̄ და იბნ აბდ ალ-ვაჰაბი, ახდენდნენ დიდ გავლენას ბენაბიზე და ის თვლიდა თავს რეფორმატორების ჯაჭვის ნაწილად. სხვა არაბულ ქვეყნებში ცხოვრების გამოცდილების მიღების შემდგომ, მან კიდევ უფრო გააფართოვა თავისი ანალიზი და ჩართო სხვა რელიგიური იდეები, გამოიკვლია სოციალური ფენომენის სხვადასხვა განმარტებები და ისტორიულ ცვლილებებში რელიგიის როლი.

მეხუთე თავი

ცივილიზაციისადმი ბენაბის მიდგომის ფესვები: გარესოციალური განზომილება

მეტათეორიზაციის მიდგომის თანახმად, გარესოციალური ფაქტორები ფოკუსირებულია მაკრო დონის ანალიზზე და ეხება ობიექტურ ასპექტებს. ისინი ეყრდნობიან ინსტიტუტებსა და აზროვნების ისტორიულ ფესვებს. ამ ფაქტორებით ნიშანდებულია მეტათეორიზაციის მეთოდოლოგიის განზომილება, რომელიც მიმართულია მაკრო დონისაკენ, რათა შეისწავლოს უფრო ფართო საზოგადოება და გაანალიზოს მისი გავლენა თეორიზაციის განვითარებაზე. გარე-სოციალური გან-

ზომილება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კავ-შირებს თეორიზაციის პროცესსა და სხვადასხვა ინსტი-ტუციებს, საზოგადოების სტრუქტურებსა და სხვა სო-ციალურ აქტივობებს შორის, რომლებსაც აქვთ პირდა-პირი ან არაპირდაპირი შეხება მიდგომის ან თეორიის განვითარებასთან.

ბენაბი მიზნად ისახავდა მუსლიმური ცივილიზაცი-ის პრობლემების მოგვარებას კოლონიზაციისა და დეკო-ლონიზაციის კონტექსტში და იყენებდა სოციოლოგიას, რათა გაეგო უფრო ფართო სოციალურ-ისტორიული კონტექსტი. ბენაბი თვლიდა, რომ კოლონიალიზმი და-სავლეთის მთლიანი ცივილიზაციური დღის წესრიგის ნაწილი იყო და საჭიროებდა ცივილიზაციურ პასუხს შიგნიდან.

ისეთი დასავლური მეცნიერებები, როგორები-ცაა: ანთროპოლოგია, არქეოლოგია და სოციოლოგია, გვეხმარება დავრწმუნდეთ იმაში, რომ ისინი ცდილობ-დნენ, განეხორციელებინათ აბორიგენული, ბარბაროსი და პრიმიტიული ადამიანების ცივილიზირების მისია. ასეთი ტერმინები გამოიყენებოდა კოლონიზებული ხალ-ხებისა და ცივილიზაციების აღნიშვნისთვის. ამან კი გა-მოიწვია დიქოტომია, რომელიც განასხვავებდა მათ სხვებისგან. კოლონიზატორებმა თავს მოახვიეს ექსპან-სია და დომინირება სრულიად უცხო სტანდარტების სა-შუალებით. ეს კი ჰყოფდა ხალხს და ანაწევრებდა მუს-ლიმურ ქვეყნებს ლინგვისტური და ეთნიკური ნიშნების

მიხედვით, რაც საფრთხის წინაშე აყენებდა, თუ საერთოდ არ ანგრევდა უმმას ერთიანობას.

წინაკოლონიური პერიოდის ალჟირის საზოგადოება თავის პოსტცივილიზაციურ ეტაპს გადიოდა. სოციოლოგიური თვალსაზრისით, ეს იყო სტაბილური საზოგადოება, რომელიც განვითარების გაცილებით მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე კოლონიური ერის მთლიანი პერიოდის განმავლობაში. ალჟირს ახასიათებდა ჰარმონიური ცხოვრება, პოლიტიკური სტაბილურობა, ეკონომიკური პროგრესი, კულტურული კრეატიულობა, სოციალური ჰარმონია და წიგნიერების მაღალი დონე. მისმა „'ულამ3'"-ს მოძრაობამ გაავრცელა განათლება, ისლამური მოძღვრებები და შეინარჩუნა ალჟირის თვითმყოფადობა.

სამწუხაროდ, განვითარება და კეთილდღეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. კოლონიურმა მოძრაობამ ოთხი მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა, ამ ეტაპებმა კი თავისებური კვალი დატოვა ალჟირის საზოგადოების მომავალ თაობებზე. დაპყრობისა და წინააღმდეგობის ეტაპი (1830—1848) საფრანგეთის მიერ "შეზღუდული ოკუპაციის" პოლიტიკით დაიწყო. ამ პოლიტიკის მიზანი იყო ალჟირელების წინააღმდეგობის მოძრაობისაგან იზოლირება და მათი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური სტრუქტურის შეცვლა.

წინააღმდეგობის მეორე ეტაპმა და კოლონიალიზმის ინტენსიფიკაციამ (1847—1871) დაყო ალჟირი და დაიმორჩილა ადგილობრივი ალჟირელები. სრული კოლონიზაციისა და უსიტყვო მორჩილების სტადიამ

(1871—1919) კიდევ უფრო შეავიწროვა ალჟირელი მუსლიმები და გაზარდა ჩამოსახლებული (კოლონისტი) მოსახლეობა. ალჟირის გამოღვიძების ეტაპზე (1919—1962) კოლონიზაციამ მიაღწია თავის აპოგეას მაშინ, როდესაც ადგილობრივ ინტელექტუალთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის წარმოიშვა პანისლამისტური რეფორმიზმი და განახლება.

საბოლოოდ, ისლამის ძლიერი მოწოდება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უზრუნველყოფდა ალჟირელებს კოლექტიური იდენტობის გრძნობით, ხელახლა გააქტიურდა 1920-იან და 1930-იან წლებში. კოლონიზაციის მეოთხე ეტაპზე კონფლიქტი ადგილობრივებსა და კოლონიურ მმართველობას შორის ყველაზე მძაფრი გამოდგა.

ბენაბის აზრით, სამი საუკუნის განმავლობაში ალჟირი ქაოსის მდგომარეობაში იმყოფებოდა ისლამური ცივილიზაციის დიდებულ ისტორიასა და სტანდარტებთან შედარებით. ამ ქაოსის შიდა და გარე ასპექტებმა ჩამოაყალიბეს კოლონიზაციისა და კოლონიალიზმისგან დაუცველობის დიალექტიკა. ბენაბი თვლიდა, რომ კოლონიალიზმმა ხელი შეუწყო ამ ქაოსის არსებობას ცხოვრების ნებისმიერ სფეროში უშუალო შეჭრის გამო. კოლონიალური მიზნების განხორციელებისათვის, განსაკუთრებით კი მუსლიმურ სამყაროში, კოლონიალიზმი მიმართული იყო ნებისმიერი ცივილიზაციური პროცესის შეჩერებისაკენ საზოგადოების კომპონენტებს შორის ხელოვნური დიქოტომიის შექმნის გზით.

ამის საპასუხოდ, ალჟირის ნაციონალიზმი განვითარდა „'ულამპ'ს" ორმაგი ძალისხმევით ინტელექტუალურ-რელიგიურ დონეზე და პოლიტიკოსების ხელმძღვანელობით პოლიტიკურ დონეზე, რომელიც მიუთითებს კავშირზე ბენაბის პარადიგმასა და დეკოლონიზაციის ორ ქვეპარადიგმას (რეფორმისტული და მოდერნისტული) შორის.

ბენაბი თვლიდა, რომ კოლონიზაციისა და კოლონიურობის პრობლემების მოსაგვარებლად ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ის საბაზისო საკითხები, რომლებიც კრიზისს საფუძვლად უდევს, დაწყებული ინტეგრაციული მოდელით. ბენაბის ცივილიზაციური პარადიგმა აანალიზებს ადამიანის მდგომარეობას და სოციალურ ცვლილებას ცივილიზაციის ჩარჩოებში, როგორც შედარებით მოდელს.

მეექვსე თავი
ცივილიზაციისადმი ბენაბის მიდგომის ფესვები: შინაგანი ინტელექტუალური განზომილება

ეს კვლევა განიხილავს შიდაინტელექტუალურ ფაქტორებს, რომლებიც ქმნიან მეტათეორიზაციის მესამე განზომილებას მეტათეორიზაციის მეთოდოლოგიის ქვეტიპში. ის აკავშირებს ერთმანეთთან კოგნიტიური ფაქტორებისა და ცივილიზაციის სფეროს შესწავლას და წარმოადგენს ბენაბის კვლევის შემადგენელ ნაწილს, მუსლიმური სამყაროს პრობლემების გადაწყვეტისთვის. ეს განსაზღვრავს მთავარ შემეცნებით პარადიგმებს, აზროვნების სკოლებს, ცვლილებების პარადიგმასა და ზოგად მეტათეორიზაციის ინსტრუმენტებს არსებული თეორიების გაანალიზებისა და ახალი თეორიების შემუშავებისათვის.

ცივილიზაციის შესწავლაში ორი ფართო პარადიგმა დომინირებდა: ფილოსოფიის ისტორია და სოციალური მეცნიერებები. ბენაბი ცივილიზაციის შესწავლას ახალ, უნიკალურ სფეროდ მიიჩნევდა, რომლის მეთოდოლოგია და ცნებები გამომდინარეობს სოციალური მეცნიერებებიდან. ყურანის ცოდნისა და რელიგიების შესწავლის წყალობით მან შეძლო, თავი აერიდებინა მატერიალისტურ და სეკულარულ კონცეფციებს ცოდნისა და ისტო-

რიული ცვლილებების შესახებ. ამ კვლევებში მეტათეორიზაციის მეთოდოლოგიის შიდა ინტელექტუალური განზომილების გამოყენება დაეხმარა ბენაბის ცივილიზაციის შესწავლის დომინანტური პარადიგმის გააზრებაში.

ეს თავი იყენებს შინაარსის (კონტენტ) ანალიზს რამდენიმე იდეის ამა თუ იმ მოაზროვნისგან წარმომავლობის დასადგენად. დომინანტური პარადიგმებისა და სხვადასხვა სკოლისა და პერსპექტივის ანალიზი ადგენს კავშირებს ბენაბის კონცეპტებს, ტერმინებს, მეთოდებსა და მათ წყაროებს შორის, შესაბამის სფეროებსა და აზროვნების დომინანტურ სკოლებში თავისი ცხოვრების ან საგნის ისტორიის განმავლობაში.

ისტორიის ფილოსოფიის პარადიგმის მიხედვით, სამ სკოლა იკვლევს ცივილიზაციის საკუთარი პარადიგმებით: ციკლური ხედვა, პროგრესული ხედვა და კაცობრიობის სხვადასხვა ხალხების ერთი მეორის გვერდით ცხოვრების მარტივი ხედვა. პარადიგმები ქმნის მთავარ ხედვას ადამიანის მდგომარეობის ისტორიულ ცვლილების მიმართ, რაც წარმოშობს მთავარ სკოლებს, რომლებიც ცივილიზაციის საკითხს ისტორიული ცვლილებების კანონზომიერების შეცნობითა და კონცეპტუალიზაციით უდგებიან.

მე-19 საუკუნის ისტორიული პროგრესის სკოლები და მისი წამყვანი მეცნიერებით - ჰეგელით, კონტით და მარქსით, განიხილავდნენ ისტორიას, როგორც პროგრესულს. ამ სკოლებმა გავლენა მოახდინეს ბენაბის მიერ ცივილიზაციის შესწავლაზე. ჰეგელის დიალექტიკურ მე-

თოდში ისტორია არის ცივილიზაციისა და ადამიანის თავისუფლების პროგრესის ამბავი. მარქსი, ისტორიული პროგრესის სკოლის კიდევ ერთი წამყვანი ფიგურა, შთაგონებული იყო ჰეგელის აზროვნებით. მაშინ, როდესაც ჰეგელი იყენებდა გონების დიალექტიკას, მარქსმა არჩია ეკონომიკური საშუალებების დიალექტიკა.

პროგრესის გავლენით კონტმა გამოიყენა დარვინის ევოლუციის თეორია და ფიზიკურ მეცნიერებათა განვითარება ადამიანის პირობებისა და ისტორიული ცვლილებების მიმართ. ამ სკოლის მთავარი წვლილი მისი კვლევების ფარგლებში ისტორიული მოძრაობის, მისი ეტაპებისა და წინაპირობების ახსნაა.

ბენაბი ირწმუნებოდა, რომ ისტორიკოსთა უმრავლესობა ცდილობდა ისტორიული მოვლენების შეკრებას და არა ამ მოვლენების რაციონალური ინტერპრეტაციისთვის ჩარჩოს შემუშავებას. ის ხედავდა კავშირს ჰეგელის წინააღმდეგობრიობის ცნებას ან დიალექტიკას და მარქსისტულ იდეას შორის იმის თაობაზე, რომ სოციალური ცვლილებების წარმომქნელი წინააღმდეგობრივი მიზეზები ეკონომიკურია. ბენაბი აღიარებდა ჰეგელიანელთა იდეებს, როგორც ცვლილებების კატალიზატორს და ასევე აფასებდა მარქსისტებს დიალექტიკური ანალიზისათვის. ბენაბის აზრით, მარქსის მიერ შემუშავებული ადამიანის საჭიროებების თეორია ვერ ხსნის ცივილიზაციის დაბადების დინამიკას.

ბენაბი აკრიტიკებდა ისტორიული პროგრესის სკოლას ორი მიზეზის გამო: ის იყო მეტწილად უფრო თეო-

რიული, ვიდრე ისტორიული და მას ჰქონდა ევროცენ-ტრული საფუძველი. სკოლამ ყურადღება გაამახვილა ზოგიერთ ისტორიული ცვლილებაზე და უგულებელყო ცივილიზაციის, როგორც მრავალწახნაგოვანი ფენომენის, კომპლექსურობა. შემდგომში ბენაბიზე გავლენა მოახდინა ციკლურმა სკოლამ, რომლის წამყვანი სწავლულები იბნ ხალდუნი და ტოინბი იყვნენ. ბენაბი საკუთარ თავს მათი მიდგომებისა და მეთოდოლოგიების მემკვიდრედ თვლიდა. სკოლამ გამოყო ისტორიული ცვლილებების მოდელები და მათი ციკლების სახით კონცეპტუალიზება მოახდინა. ამ ისტორიული მონაცემების შესწავლის შემდგომ მეცნიერებმა მიაგნეს ისტორიული ცვლილებების უნივერსალურ მოდელებს.

თავის წიგნში *„მუკადდიმა“* იბნ ხალდუნმა პირველმა წარმოადგინა ისტორიის კვლევა, რომელიც მისი კანონებისა და მოდელების დადგენას ისახავდა მიზნად. მის მიერ საზოგადოების ხასიათისა და სოციალური ცვლილებების შესწავლამ მიიყვანა ის ცივილიზაციის შესახებ მეცნიერების შემუშავებამდე, ანუ, როგორც ის ამას უწოდება, *„ʻილმ ალ-ʻუმრან*ამდე“, რომელშიც თაობებმა და პროცესებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს, კერძოდ, ცივილიზაციის მიერ აღებული გეზის განსაზღვრაში. მისი კონცეპტი *„ʻასაბიჲჲა“* არის ძალა, რომელიც ისტორიული ცვლილებების მოტივირებას ახდენს დინასტიებისა და სახელმწიფოების აღმოცენების, აღმავლობისა და დეინტეგრაციის პროცესში.

ტოინბი აღიქვამდა მსოფლიო ისტორიას, როგორც ცივილიზაციათა თანმიმდევრულ მონაცვლეობას და თვლიდა, რომ ცივილიზაცია დიალექტიკური გამოწვევის, მასზე პასუხის, შედეგია, აღმსავლისა და დაკნინების სტადიების შედეგია. ის განიხილავდა ცივილიზაციის ბუნებას, როგორც ისტორიული ცვლილებების შესწავლის „მთლიან“ ან საგულისხმო ნაწილს. იბნ ხალდუნის მსგავსად ის იყო დეტერმინისტი და მან მოახდინა ცივილიზაციური პროცესის კონცეპტუალიზაცია, რომელიც უნდა დასრულდეს სრულდება ცივილიზაციის დაშლით ან დაკნინებით.

ბევრი მეცნიერი თანხმდება იმაზე, რომ ბენაბი მეორე იბნ ხალდუნია თავისი იდეების, მეთოდებისა და დაინტერესების თვალსაზრისით. როგორც ისტორიის მიზეზ-შედეგობრიობის კანონზომიერები, ისე ცივილიზაციის ციკლები იპყრობდა ბენაბის ყურადღებას. მისი შეხედულებით, ციკლური მოძრაობის კანონზომიერება იძლევა პროგრესული განვითარების პირობებსა და დაკნინების ფაქტორებზე მსჯელობის საშუალებას. ბენაბიმ გაარღვია იბნ ხალდუნის სახელმწიფოს ცნება, როგორც სოციალურ-ისტორიული შესწავლის საგულისხმო ერთეულისა და გამოიყენა ცივილიზაცია ისტორიის კვლევის ერთეულის სახით. ტოინბის მიერ ცივილიზაციის ერთეულის გამოყენებამ ისტორიული ანალიზისათვის, მისმა ცნებამ ციკლების შესახებ და გამოწვევებისა და რეაგირების მისეულმა ფორმულირებამ ასევე მოახდინა გავლენა ბენაბის მიდგომაზე.

ბენაბიმ გამოიყენა სოციალური მეცნიერებების მეთოდოლოგია თავისი დროის სოციალური მოვლენების ანალიზისათვის და ცივილიზირების პროცესში რელიგიის როლის განხილვისათვის. ბენაბის თვალსაზრისით, სოციოლოგია და ფსიქოლოგია აუცილებელია მუსლიმური აღორძინების ინიცირებისათვის. ის აღიქვამდა რელიგიას, როგორც სოციალური ღირებულებების სინთეზატორსა და ცივილიზაციის კატალიზატორს დინამიურ ურთიერთქმედებაში შესვლისათვის. ბენაბი თვლიდა, რომ ადამიანი ცივილიზაციის უპირველესი იარაღი და ცვლილებების წამომწყებია. ის უკმაყოფილებას გამოხატავდა ფილოსოფიის, ისტორიისა და სოციალური მეცნიერებების ორი დომინანტური პარადიგმის, სამი სკოლისა და ცივილიზაციის შესწავლის მრავალმხრივი მიდგომის თაობაზე.

მეშვიდე თავი

ცივილიზაციისადმი ბენაბის მიდგომის ფესვები: გარეინტელექტუალური განზომილება

მეტათეორიზაციის მეთოდოლოგიის მეოთხე განზომილება მეტათეორიული მიდგომით მოიცავს გარეინტელექტუალურ ფაქტორებს, როგორც სხვა აკადემიური დისციპლინების ალტერნატივას იდეების, ინსტრუმენტების, კონცეფციებისა და თეორიების ანალიზისათვის. გარეინტელექტუალური განზომილება ყურადღებას ამახ-

ვილებს მეცნიერებებისა და კვლევის სფეროების გავლენაზე, რომლებიც ტრადიციულად ცივილიზაციის კვლევებისგან გამიჯნულად მიიჩნეოდა. ბენაბის შემთხვევაში ეს გარეინტელექტუალური განზომილება გულისხმობს ყურანის და სუნის გავლენას, მუსლიმურ სამყაროში რელიგიურ-რეფორმატორულ აზროვნებას, ფსიქოლოგიას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, ფილოსოფიასა და სხვა ინტელექტუალურ საქმიანობას, რომლებიც არ შედის ცივილიზაციის კვლევასა და მის ორ ტრადიციულ დომინანტ პარადიგმაში.

ბენაბიმ წარმოადგინა ყურანის განმარტება და ინტერპრეტაცია თანამედროვე მეცნიერულ აღმოჩენებსა და სოციალური მეცნიერებების განვითარებაზე დაყრდობით. ისტორიული ცვლილების ციკლური კონცეფციის განმარტებისას ბენაბი მოიხსენიებს ყურანს, რათა ახსნას რელიგიური იდეის მუშაობის პრინციპი ცივილიზაციურ პროცესში და ყურანის საიმედოობის პრინციპი ისტორიაში. მან გამოიკვლია, თუ როგორ ახდენს რელიგია ადამიანის პიროვნების ტრანსფორმაციას და მიმართულებას აძლევს ცივილიზაციურ პროცესს.

ბენაბის დევიზი იყო ყურანის ერთერთი აია: ***„უეჭველად, ალლაჰი არ შეცვლის ხალხის მდგომარეობას, სანამ თავად ხალხი არ შეიცვლება...“.*** რომელმაც ჩარჩოებში მოაქცია ადამიანის სტატუსი, ასევე ისტორიულ ცვლილებასა და ადამიანის პირობების ცვლილებებში ადამიანური ფაქტორის დომინირების ანალიზი. ბენაბი ამტკიცებდა, რომ ცივილიზაციური პროცესის ინიცირე-

ბისათვის საზოგადოებამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეცვალოს ადამიანის სტატუსი თავისი ბუნებრივი, ნედლი მდგომარეობიდან განპირობებულ ინდივიდამდე.

ყურანის პრინციპები გვეხმარება ისტორიული ცვლილებისა და ამ პროცესში რელიგიის როლის გაგებაში, ხოლო ისტორიული კვლევა გვეხმარება ყურანის პრინციპების ჭეშმარიტების დადასტურებასა და ემპირიული მტკიცებულებებით უზრუნველყოფაში. ბენაბი არ ეთანხმებოდა მოდერნისტების ნააზრევს ან სეკულარულ ხედვას, რომლებიც უარყოფდნენ რელიგიის ნებისმიერი სახის აქტიურ როლს საკაცობრიო ცივილიზაციაში. ის ილტვოდა, ენახა მტკიცებულება იმისა, რომ ყურანი და გამოცხადება, როგორც ეს წარმოდგენილია მოციქულთა მოძღვრებებში, ადამიანური ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილია.

მუსლიმური სამყაროს ჩამორჩენილობის პრობლემის მოგვარების მიზნით ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ისტორიის შეუცვლელი შაბლონი, რომელიც მოხსენიებულია ყურანში და ახსნილია იბნ ხალდუნის მიერ ისტორიული ცვლილების ციკლური ცნების, უნივერსალური მოდელებისა და ისტორიული კანონების სახით. მეტათეორიზაციის მეთოდოლოგიის კონტექსტში ყურანი და სუნა იყო ორი მთავარი გარეინტელექტუალური ფაქტორი, რომლებმაც გავლენა იქონია ცივილიზაციისადმი ბენაბის მიდგომაზე.

მუსლიმური სამყაროს რეფორმისტულმა აზროვნებამ გაითავისა *„ისლაჰ“*, *„თაჯდიდ“*, და *„ნაჰდა“* (რეფორ-

მა, განახლება და რენესანსი) იდეები - ამ მოძრაობის მახასიათებლები. ესენი იყო ახალი პარადიგმის გამოხატულება, რომელიც წარმოიშვა მე-18 საუკუნის შუა ხანებში. იბნ აბდ ალ-ვაჰაბის მოძრაობა ცდილობდა, გაეცოცხლებინა ისლამის თავდაპირველი და ფუნდამენტური მსოფლმხედველობა, რომელშიც ერთიანობის იდეა ამყარებდა ყველა დანარჩენ დინამიურ პრინციპს. ალ-ავღანი, რეფორმისტული აზროვნების კიდევ ერთი მოძღვარი, ემხრობოდა იმავე რეფორმისტულ პარადიგმას, რომელიც აცხადებს, რომ ისლამის წმინდა მოძღვრებები აუცილებელია წარმატებული აღორძინებისა და რეფორმირებისათვის. ბენაბიმ გადაიღო ამ მოძრაობის ფუნდამენტური იდეები თავის ინტელექტუალურ ასპექტებში.

ალჟირში რეფორმატორები არ განიხილავდნენ ჩამორჩენილობას ყოვლიმომცველი პერსპექტივით. ბენაბი გადაერთო ფსიქოლოგიაზე სისტემატური მიდგომისათვის. ის ისწრაფვოდა ცივილიზაციური პროცესების მიზნების პარალელურად პიროვნების ცვლილებისა და განვითარების გაგებისაკენ. მას ასევე სურდა, გაეგო, თუ როგორ შედიან რელიგიური იდეები სინთეზში სოციალურ ღირებულებებთან და როგორ ამაღლებენ ადამიანის ხედვას.

ბენაბი ემხრობოდა ფროიდისა და იუნგის მოსაზრებებს რელიგიის ადგილისა და ფუნქციის თაობაზე, რომელიც ასევე მოიცავდა პიაჟეს განვითარების ფსიქოლოგიას. ბენაბიმ განაცხადა, რომ რელიგიური იდეა ათავისუფლებს ადამიანის სულს ინსტინქტის კანონები-

საგან და უმორჩილებს მას სულის კანონებს. რელიგია წარმართავს ინდივიდის ქცევას თავისი სასიცოცხლო ძალის მეშვეობით და საშუალებას აძლევს საზოგადოებას, განახორციელოს ერთობლივი აქტივობები. ფროიდი დაეხმარა ბენაბის პიროვნების შინაგანი სამყაროს ცვლილებაში რელიგიის ფსიქოამქვეყნიური როლის გაგებაში, ასევე ინდივიდებისა და ჯგუფების სასიცოცხლო ძალების მართვისა და ცივილიზაციურ პროცესში მისი პოზიტიური როლის გაცნობიერებაში.

როდესაც რელიგიური იდეები, რომლებიც განაგებდნენ ცივილიზაციურ პროცესს, კარგავენ საკუთარ დინამიურ როლს, საზოგადოების ცივილიზაციური პროცესი დეგრადირებას იწყებს და წყვეტს მუშაობას მის იდეებსა და არქეტიპებთან უნისონში. მიუხედავად იმისა, რომ ბენაბიმ გადმოიღო თავისი სტადიების კონცეპტი ძირითადად იბნ ხალდუნისაგან, მან ასევე გამოიყენა თანამედროვე ფსიქოლოგიის განვითარება საზოგადოების ფსიქოლოგიური პროგრესის ანალიზისათვის. პიაჟეს გავლენით, ის ხაზს უსვამდა იმ მომენტს, რომ პიროვნება და საზოგადოება გადიან ერთნაირ სამ ისტორიულ სტადიას: ობიექტის ეპოქას, პიროვნების ეპოქასა და იდეის ეპოქას.

ფილოსოფია წარმოადგენს მეოთხე ინტელექტუალურ ფაქტორს, რომელმაც მოახდინა გავლენა ცივილიზაციისადმი ბენაბის მიდგომაზე. ფილოსოფია, კარტეზიანული ნააზრევი და თანამედროვე დისკურსი იყო მისი გარე წყაროები, მათ შორის იბნ ტუფაჲლის, დანიელ

დეფოს, იბნ რუშდის და ალ-ღაზალის იდეები. ბენაბის მიერ დეკარტისაგან გადმოღებული ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდი მისი ანალიტიკური მეთოდია. მან გამოიყენა ორი განსხვავებული, თუმცა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ანალიტიკური მექანიზმი ცივილიზაციის სტრუქტურული ელემენტებისა და ცივილიზაციურ პროცესში მათი ფუნქციონირების შესწავლისათვის.

ბენაბი იყო მცირეთაგან ერთერთი ის თეორეტიკოსი, რომელიც აღიქვამდა ცივილიზაციას, როგორც მრავალასპექტიან ფენომენს. მისი წვლილი შეიძლება განიხილოს, როგორც მნიშვნელოვანი წინსვლა და ტრადიციული, ფრაგმენტული და წინააღმდეგობრივი პარადიგმის ალტერნატივა. ბენაბი მნიშვნელოვანია როგორც სისტემის აღმშენებელი და ინტერდისციპლინარული მიდგომის თეორეტიკოსი.

გარესოციალური ფაქტორებმა დაეხმარა ბენაბის, ეპოვა საკუთარი საწყისი წერტილი ცივილიზაციის შესწავლისათვის. ალჟირისა და მუსლიმური სამყაროს სიტუაციის შესახებ მისმა შეშფოთებამ მისცა მას საშუალება, მოეხდინა საკუთარი მიდგომის ფორმულირება ამ საზოგადოებისა და უმმას სხვადასხვაგვარი პრობლემების კომპეტენტური მოგვარებისათვის. მეთოდოლოგიურ დონეზე ბენაბიმ გამოიყენა ისტორიკოსების მიდგომები, მაშინ როცა ინტელექტუალურ და კოგნიტურ დონეზე მან ჩართო ან გადმოიღო ესა თუ ის მეთოდი სხვადასხვა

დისციპლინისაგან სამი მთავარი ცვლილების (ისტორიული, სოციალური და კულტურული) შესწავლისათვის.

გარეინტელექტუალური ფაქტორები მოიცავდა ყურანსა და სუნას, მუსლიმური სამყაროს რელიგიური რეფორმისტების ნააზრევს, ფსიქოლოგიას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, ფილოსოფიასა და სხვა ინტელექტუალურ აქტივობებს, რომლებიც გარეგანია კვლევის სფეროსა და მისი ორი ტრადიციული პარადიგმისათვის.

უფრო მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს ბენაბის მიერ ჩამოყალიბებულ და შემუშავებულ ცივილიზაციის შესწავლის ინტერდისციპლინარულ მიდგომაზე, ასევე მის მიერ მეტათეორიზაციის მეთოდის გამოყენებაზე იდეების, მიდგომების, თეორიებისა და კვლევის სფეროების ფორმირებისა და განვითარების შესწავლაში მათი პოტენციალის დადგენის მიზნით, ცოდნის წარმოშობისა და განვითარების ჰოლისტიკური გაგების უზრუნველყოფისათვის.

ავტორის შესახებ

ბადრან ბენლაჰსინი (Badrane Benlahcene) — არის ცივილიზაციის კვლევებისა და ფილოსოფიის ისტორიის ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფიის დეპარტამენტი, ბათნას უნივერსიტეტი, ალჟირი და ისლამური კვლევების დეპარტამენტი, ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი, მეფე ფაისალის უნივერსიტეტი, ალ-აჰსა, საუდის არაბეთი. ის არის ბენაბის ნაშრომების ექსპერტი, რომელმაც გამოაქვეყნა სტატიები მრავალ ჟურნალში და წარმოადგინა ბენაბის ნაშრომები და ცივილიზაციის კვლევები ალჟირში, მაროკოში, საუდის არაბეთსა და მალაიაზიაში გამართულ კონფერენციებზე.

ვებგვერდი: http://drbadrane.combantis

გამომცემლობა **„უნივერსალი"**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის ძირითადი პუბლიკაციების ღირებული კოლექციას, რომელიც შემოკლებული ფორმით არის დაწერილი, რათა მკითხველს სრული ვერსიის შინაარსის შესახებ ძირითადი წარმოდგენა შეუქმნას.

ცნობილი ალჟირელი ინტელექტუალი და მეცნიერი, მალიქ ბენაბი (1905-1973), დაინტერესებული იყო მუსლიმების დაცემისა და დასავლური ცივილიზაციის წარმატებისა და მიღწევების მიზეზების დადგენით. მისი თეორიის თანახმად, აღნიშნულის უმთავრესი მიზანი არა ყურანი ან ისლამური მრწამსი, არამედ თავად მუსლიმები არიან.

წინამდებარე ნაშრომი მეტათეორეტიზაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით იკვლევს ბენაბისეული ცივილიზაციის მიდგომას, რათა შეისწავლოს მისი თეზისი და დამატებით ნათელი მოჰფინოს მისი თეორიის, სავარაუდოდ, ყველაზე მეტად დამაინტრიგებელ ნიუანსს იმის თაობაზე, რომ ცივილიზაციას განაგებს შიდა და გარე, ასევე სოციალურ-ინტელექტუალური ფაქტორები და რომ შესაძლებელია ცივილიზაციის განტოლების შექმნა.

ბენაბის აზრით, რელიგია წარმოადგენს ადამიანი+ნიადაგი+დრო=ცივილიზაცია განტოლების უმნიშვნელოვანეს კატალიზატორს და ის განიხილება როგორც აუცილებელი პირობა მუსლიმური დაცემის შეჩერებისათვის. თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ ბენაბისთვის ადამიანი წარმოადგენს ცენტრალურ ძალას ნებისმიერ ცივილიზაციურ პროცესში და მის გარეშე დანარჩენი ორი ელემენტი უბრალოდ კარგავს თავის მნიშვნელობას.

ბენაბის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თავიანთი სულიერი მდგომარეობის შეცვლის გარეშე მუსლიმები ვერ შეძლებენ გრძელვადიანი და ნიშანდობლივი ცვლილებების მოხდენას საზოგადოებაში, ნათლადაა ასახული ყურანის აიაში, 13:11: ***„უეჭველად, ალლაჰი არ შეცვლის ხალხის მდგომარეობას, სანამ თავად ხალხი არ შეიცვლება...“***

International Institute of Islamic Thought